



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბოტი ბუქ-
უბი სიფყავა, ფუილიუბით და ჭბბბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკადრისბბბაუ უსამაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი-სამშაბათი, 18-19 ივლისი. 2022 წ. №95-96 (9433-9434) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge უსანი 1 ლარი

უბრალულდ, ნაბირბლები...

იქას გაბრად ასსიათ!



5



ADIBASI,
MARABDA
და




ყყყუუურრნაღისბები

„ბიაზი გასკლა“ 4

გოგაუვილი, „სიყვარული“, „ხანკარი“
და ქართული ჟურნალისტიკის „გაგები“...

ქვეყანა პარტიების 5 ინტერესებს ეწირება!



დააკავენ „გვალახარას მეხსიკა კარბელის“ ლიდერი

ლიც აშშ-ის მიერ ძებნილთა პირველ
ათეულში შედის.
მექსიკის ხელისუფლებას გა-
ცემული აქვს კინტეროს დაკავე-
ბის ორი ორდერი და ასევე მისი
აშშ-ში ექსტრადირების ნებარ-
თვა. აშშ-ის გენპროკურორის მე-
რიკ გარლანდის თქმით, ქვეყანა
კინტეროს დაუყოვნებლივ ექ-
სტრადირებას მოითხოვს.
რაფაელ კარო კინტერო „გვალა-
ლახარას კარტელის“ ერთ-ერთი
დამფუძნებელია. მას ბრალად ედება
1985 წელს აშშ-ის ნარკოტიკების უკ-

მეხსიკაში, სინალას
შტატის ქალაქ ჩიოსში სამ-
ხედრო-საზღვაო ძალების
თანამშრომლებმა დააკავეს
69 წლის ნარკობარონი რა-
ფაელ კარო კინტერო, რომე-

ანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძო-
ლის სამსახურის აგენტის ენრიკე
კამარენას წამება და მკვლელობა.
ამ ბრალდებით მას მექსიკაში 40-
წლიანი სასჯელი ჰქონდა მისჯი-
ლი, თუმცა 2013 წელს მექსიკის სა-
სამართლომ მას სასჯელი შეუმცო-
რა და ციხიდან გაათავისუფლა.
მოგვიანებით უზენაესმა სასამარ-
თლომ ქვედა ინსტანციის სასამარ-
თლოს გადაწყვეტილება გააუქმა,
თუმცა ამ დროისთვის კინტერო
უკვე მიიმალა და ის მხოლოდ 9-
წლიანი ძებნის შემდეგ დააკავეს.


გულაურში პარაკლანი ხევი გაღაიჩხა...



გულაურში უბედურ შემ-
თხვევას მსხვერპლი მოჰყა. პა-
რაპლანი ხევი გადავარდა, რის შედეგადაც 1 ადამიანი
დაიღუპა, 1 კი დაშავდა. დაშავებული ამ დროისთვის სა-
მედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი და შესაბამი-
სი დახმარება უტარდება.

გოგაუვილის მეულე იტყუება!

ბოღბალი ეპისკოპოსი
იაკობი კატეგორიულად
უარყოფს სუს-ის უფრო-
სის ყოფილ მოადგილესთან
სოსო გოგაშვილთან მისი
და მისი ოჯახის ლიკვიდა-
ციის შესახებ საუბრის ფაქ-
ტს. ეპისკოპოსის თქმით,
მსგავსი შინაარსის საუბ-
არი მასსა და გოგაშვილს
შორის არასდროს ყოფი-
ლა. გოგაშვილის მეულე
იტყუება.



მეულე
იაკობი
უარყოფს...


„შეხვედრები მქონდა სო-
ლემე, მაგრამ 4-5 თვეზე მეტ-
ხანს შეხვედრა კი არა სატე-
ლეფონო ურთიერთობაც არ
მქონია. მეცინება უბრალოდ,
ისეთ რამეზე საუბარი. რას ჰქვია, ოჯახის ლიკვიდაცია იგ-
ეგმებოდა? ასეთ სისულელეზე არასოდეს მისაუბრია. უბრა-
ლოდ, მძიმე სიტუაციაშია ოჯახი. ვერ ვხვდები, რა ხდება, მაგ-
რამ ჩემსა და მას შორის ოჯახის ლიკვიდაციაზე საუბარი
არასდროს არ ყოფილა“...

უნგრეთი რბს უკრაინის ინტერესებს, რვენთვის მისაღები არ არის!

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა
პიტერ სიიარტომ განაცხადა, რომ უნგრეთს
უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენ-
სკისთან უთანხმოება არა აქვს და აღნიშ-
ნა, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობები
უკრაინაში ომის დაწყებამდე დიქაბა.
„ის (ვოლოდიმირ ზელენსკი) უკრაინელია,
ხოლო ჩვენ წარმოგადგენთ უნგრეთის ინტე-
რესებს. რა არის უკრაინის ინტერესი? უფ-
რო მეტი ქვეყნის ჩართვა ამ კონფლიქტში,
თუნდაც იარაღის მიწოდებით. მეორე მხრივ,
ჩვენს ინტერესებშია, არ ჩაგვბათ ამ კონფლიქ-
ტში და მინიმუმამდე დავიყვანოთ სამხედრო
სიტუაციაში გადასვლის შესაძლებლობა“, - აღნიშნა უნგრე-
თის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.



გვი ვახუა
90
გილოცავთ!



საძარტველს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯაიჰუნ ბაირამოვს შეხვდა.


ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მისასალმებელია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა შედგება თბილისში. მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრა იქნება წარმატებული და დიალოგის პოზიტიურ დინამიკას შეუწყობს ხელს. აქვე, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პერსონალური ძალისხმევით როლს გაუხვავა ხაზი, როგორც წარმატებული მედიატორისა სომხეთ-აზერბაიჯანის მედიაციის საკითხში.

აზერბაიჯანისა და სომხეთის მინისტრები თბილისში

იჯანის მედიაციის საკითხში. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მშვიდობიან სამეზობლო ინიციატივაზე და თანამშრომლობაზე ურთიერთსასარგებლო სფეროებში, მათ შორის, ეკონომიკის, ვაჭრობისა და კულტურის მიმართულებით. აღინიშნა, რომ დიალოგის ეს პლატფორმა რეგიონული ურთიერთობების ნორმალიზებას შეუწყობს ხელს. ასევე განიხილეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, მათ შორის, ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის სფეროებში. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფარიზ რზაევი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი დაესწრნენ.

საძარტველს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯაიჰუნ ბაირამოვს შეხვდა.

საუბრისას მთავარი განსახილველი საკითხი იყო სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა თბილისში. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია, შემდგომში დიალოგის პოზიტიური დინამიკით განვითარება.



შეხვედრაზე მშვიდობიანი სამეზობლო ინიციატივა განიხილეს და ხაზი გაუსვეს მის როლს, რეგიონული ურთიერთობების ნორმალიზების ხელშეწყობის მიმართულებით. ასევე, ყურადღება დაეთმო საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს, მათ შორის, ეკონომიკური და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის მიმართულებით.

შეხვედრას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვაჰე გეგორგიანი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი დაესწრნენ.

ირაკლი ღარიბაშვილი: კიდევ უფრო მეტად მოვუპოვოთ ჩვენს მთას!

ჩვენს სიამოვნებით აღვნიშნავთ თუშეთობას და სიმბოლურად, სწორედ თუშეთში ვინწყებთ მთის კვირეულს. ჩვენ გვინდა, რომ დაგამყვიდროთ მთის კვირეული, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თუშეთში განაცხადა, სადაც 17 ივლისიდან მთის კვირეული დაიწყო.

„ჩვენი სურვილია, ამ არაჩვეულებრივ ადგილას, თუშეთში ბევრი დამსვენებელი, ტურისტი ჩამოვიდეს. ჩვენი მთავრობის პრიორიტეტია, რომ მთას განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ. რა თქმა უნდა, საჭიროა მეტი ინვესტიციების განხორციელება მთაში. მეტი ყურადღების მიქცევა. გახსოვთ, ამისთვის ჩვენ რამდენიმე წლის წინ მთის კანონი მივიღეთ. მთაში, მცხოვრებთათვის დაწესდა შეღავათები, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. ჩვენ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ და უფრო მეტად მოვუპოვოთ მთას, ჩვენს სიამაყეს და კიდევ ერთხელ მივინდა, ყველა მთაში მცხოვრებ ადამიანს მადლობა გადავუხადო. ეს არის ნამდვილი გმირობა, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრობენ ასეთ ულამაზეს ადგილას და იცით, მთელი 6-7 თვე აქ მოძრაობა იკეტება. ზამთრის პერიოდში შეუძლებელია გადაადგილება, მხოლოდ ვერტიკალურად. ამიტომ, მივინდა ჩვენს თუშებს განსაკუთრებული სიყვარულით კიდევ ერთხელ მოგესალმოთ, მოგილოცოთ თუშეთობა და გი-სურვით მშვიდობა, წარმატება და კეთილდღეობა“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ქართული ოცნების“ გუნდი შოუში მონაწილეობას არ მიიღებს!



„ქართული ოცნება“ შოუში მონაწილეობას არ აპირებს. ძალიან რბილად რომ შევაფასოთ, ეს არის სრულიად ალოგიკური, არათანმიმდევრული და შეუსაბამო 12-პუნქტიანი გეგმასთან და მის სულისკვეთებასთან, - ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა პრეზიდენტის მიერ პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შეფასებისას განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გუნდი ამ შოუში მონაწილეობას არ მიიღებს და აგრძელებენ მუშაობას 12 პუნქტის თითოეულ პუნქტზე. „12 პუნქტიდან პირველი მოუთხოვს იმაზე, რომ საჭიროა მხარეებმა დეპოლარიზაციაზე იმუშაონ. ამის მთელი არსი ისაა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ, ერთმანეთთან დასხდნენ, მუშაობა, საკითხების განხილვა და მომზადება. მივიღეთ რა? საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც თვითონ საუბრობს ხოლმე შერიგებაზე, დეპოლარიზაციაზე, რომელიც თვითონ საუბრობს, ახლა არის ინსტრუმენტი და ხელს უწყობს, რომ ამ ყველაფერმა, იმის მიუხედავად, რომ საკითხებს, რომელიც ჯერ ჩვენ უნდა განვიხილოთ მრავალმაგიდასთან, გვემსჯელო და ისე გაგვეტანა პლენარულ სხდომაზე. პოლიტიკური სახეობების მიერ და მხარეების მიერ და მხარეებს მიეცეთ პოლიტიკური ტრიბუნა, რათა პოლიტიკური შეფასებები გაკეთდეს.

ლიც თვითონ საუბრობს ხოლმე შერიგებაზე, დეპოლარიზაციაზე, ახლა არის ინსტრუმენტი და ხელს უწყობს, რომ ამ ყველაფერმა, იმის მიუხედავად, რომ საკითხებს, რომელიც ჯერ ჩვენ უნდა განვიხილოთ მრავალმაგიდასთან, გვემსჯელო და ისე გაგვეტანა პლენარულ სხდომაზე. პოლიტიკური სახეობების მიერ და მხარეებს მიეცეთ პოლიტიკური ტრიბუნა, რათა პოლიტიკური შეფასებები გაკეთდეს.

პოლიტიკური შეფასება ყველას მხრიდან გაცხადებულია იმის შესახებ, რომ გვაქვს 12 პუნქტი და ის არის შესასრულებელი, ამას სჭირდება მუშაობა და არა ტრიბუნა. როგორც კი დაგვჭირდება ამ 12 პუნქტიდან გამომდინარე საკითხებზე სესია, ამას ვერაფერს დაგვასწრებს, რადგან ეს საქმეზე და მოუკიდებელი, ეს მოცემულობა გვაქვს. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ გუნდი ამ შოუში მონაწილეობას არ მიიღებს.

პასილ პალაფიკიძე: სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ სამშობლო დავიკავოს

რა ფასი აქვს სახელმწიფოს, რომლის მოქალაქესაც გარედან ეტყვიან, არაფერი დაგიშვებია, მაგრამ თუ შენი სამშობლო გიყვარს, უნდა წახვიდეთ?! სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ სამშობლო დაიკავას, - ამის შესახებ საზოგადოებრივი მართლმადიდებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ვასილ მალაფიკიძემ ტელეკომპანია POSTV-ის ეთერში, შალვა რამაშვილის გადაცემაში განაცხადა. მალაფიკიძემ გამოხატა ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით ევროპარლამენტარ მაიკლ გალერის განცხადებას.



„ამის წინაშე, ევროპელმა ოფიციალურმა პირმა, მგონი ევროპარლამენტარმა, განაცხადა, თუ ივანიშვილს ქვეყანა უყვარს და პატრიოტია, უნდა წავიდეს, გაქრეს ამ ქვეყნიდანო. რომ ეთქვა, ცუდი ადამიანია ივანიშვილი, ქვეყანა დაანგრია და უნდა წავიდეს, კიდევ გავიგებდი, სიტყვის თავისუფლება და ამბობს, რასაც უნდა. ეს კი ისეთი ნათქვამია, ცინეს რომ შემოარტყამენ ალყას და ულტიმატუმს წაუყენებენ. მეგობრები ასე არ საუბრობენ. ლეო ქიაჩელის რომანშია, გემი რომ მიადგა ქალაქს და ზარბაზნის ლულები მიუშვია, უფუშე მება გადმოგვეცით, თორემ ქალაქს დავანგრევთ. ასეთმა დამოკიდებულებამ შემზარა. რა ფასია აქვს სახელმწიფოს, რომლის მოქალაქესაც გარედან ეტყვიან, არაფერი დაგიშვებია, მაგრამ თუ შენი სამშობლო გიყვარს, უნდა წახვიდეთ?! სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ სამშობლო დაიკავას. რომ თქვას იმ ადამიანთან, კარგი ბატონო, მე როგორც პატრიოტი წავალ ქვეყნიდანო, მე რა გინდა ვიცხოვროთ და როგორი სახელმწიფო შეგვარება?! აღარც დამოუკიდებლობა გვექნება, აღარც თავმოყვარეობა და სხვა-ზეგ თითოეულ ჩვენგანსაც ასე მოგვეტყვიან...“

ბიკ პოლსკი: ამერიკის დახმარება ყველა მიმართულებით სპერსობია!

ძარტველი მოსამართლის განცხადებაზე კელი დეგნანის მხრიდან პირდაპირი პასუხი არ ყოფილა, თუმცა დახმარება, როგორც კელი დეგნანმა მიუთითა, აუცილებელი და მისასალმებელია, - ამის შესახებ პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკიმ განაცხადა.



საგრძობია, ხელშესხვებია, მნიშვნელოვანია, საჭიროა და სწორედ ეს არის პარტნიორობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ამერიკასა და ჩვენ გვაქვს. ქართველი მოსამართლის განცხადებაზე კელი დეგნანის მხრიდან პირდაპირი პასუხი არ ყოფილა, თუმცა დახმარება, როგორც კელი დეგნანმა მიუთითა, აუცილებელი და მისასალმებელია. როცა ასეთ სკანდალურ თემაზე განცხადება კეთდება, ის საჭიროებს გარკვეულ პასუხს. ასეთი პასუხი ჯერ არ მოგვისმენია. მოსამართლემ განცხადება გააკეთა და მან უნდა გასცეს პასუხი, ვის მიმართაც იყო გაკეთებული. რომან გოცირიძის კომენტარის საკმარისი არ არის.

რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონკრეტული მოსამართლის სანქცირება მოახდინა კონკრეტულ გადანყვეტილებაზე. ეს განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გააკეთა და ახლა კეთილი ინებოს და დადასტუროს, რომ ასეა, ან თქვას, რომ ეს მხოლოდ მათი მოსაზრებაა. „ნაციონალური“ ეს განცხადება საკმაოდ სკანდალური იყო, რადგან რომან გოცირიძე ადასტურებს, რომ ამერიკამ ქართველ მოსამართლეს სანქციები დაანდო. ეს მე არ მოთქვამს, ეს არც კელი დეგნანის განცხადებაში იყო, „ნაციონალური“ განცხადებაში იყო მტკიცებით ფორმალში გამოთქმული პოზიცია. რომან გოცირიძის ეს აზრი მოსამართლის განცხადებაში რომ ამოვიკითხოთ და ვთქვა, რომ ეჭვი ეპარება, რომ ამერიკა მოსამართლეს სანქციას უნესებს, მაშინ მისი პოზიცია გასაგები იქნებოდა. პირიქით, უნდა ვთქვა, როგორც მე ვამბობ, რომ ამერიკის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. ვიდრე მოსამართლის განცხადება იქნებოდა, „ნაციონალური“ დიდი ხნით ადრე ამტკიცებდა, რომ ეს სწორედ სანქციაა, რომელიც დაუნესა ამერიკამ კონკრეტულ მოსამართლეს და ამ თემაზე ერთი ფივილ-სივილი და ტაშფანდური ჰქონდათ ატეხილი“, - განაცხადა გია ვოლსკიმ. გია ვოლსკიმ ასევე შეაფასა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განცხადების ის ნაწილი, სადაც მოსამართლე ამბობს, რომ მაიკლ გალერი პირდაპირ ზენოლას ახდენს სასამართლოზე და მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს, მომავალი კვირის სამშაბათს, 19 ივლისს, როდესაც გვარამიას საქმეზე სასამართლო სხდომა ჩანიშნული, პირველივე განხილვაზე გაამართლოს გვარამია და ამით გამოასწოროს ძველი შეცდომები.

გია ვოლსკის თქმით, დარწმუნებულია, გერმანიის სასამართლო რა გადანყვეტილებაში მიიღებს, გალერი იქნება თუ სხვა, ასეთ კომენტარს არ გააკეთებს...

ლევან იოსელიანი:

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს!



ევროკომისიამ საქართველოს სტატუსთან დაკავშირებული საკითხის განხილვა გადადო. პირობების შესრულების ანგარიშს არა ემიდინარე წლის ბოლოს, არამედ 2023 წელს განიხილავს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველომ საშინაო დავალება, რომელიც 12 პუნქტისგან შედგება, ერთ წელიწადში უნდა შეასრულოს.

დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობას იხსნის რადიკალური ოპოზიცია და იმელოვნებს, რომ საქართველოში ერთ წელიწადში ბევრი რამ შეიძლება, მათ შორის ხელისუფლებაც!..

ასე არ ფიქრობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი**, რომლის განცხადებით, ევროკომისიის გადაწყვეტილება იმ რეალობიდან გამომდინარეობს, რასაც თვალს ვადევნებთ ყოველდღე, ეს იქნება დემოკრატიზაცია, თუ სამუშაო ვაგუფებისთვის ბოიკოტის გამოცხადება. როგორც ვოლსკი აცხადებს, ევროკომისია პრაგმატულ გადაწყვეტილებას იღებს, რაც არ ნიშნავს, რომ იმ გრაფიკიდან ამოვყარდებით, რაც **ირაკლი კობახიძე** გეგმის სახით წარმოადგინა.

„რასაკვირველია, ევროკომისიამ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მთავარია საქმიანი ურთიერთობა და ქართველი ხალხისთვის სიკეთის მომტანი გადაწყვეტილებების მიღება და არა პოლიტიკურ პარტიებს შორის ჭიდილი, რაშიც რადიკალური ოპოზიცია არათუ გამოირჩევა, არამედ საგანგებოდ მოქმედებს და სტრატეგია არ შეუცვლია, რაც არის დაძაბულობა, დესტაბილიზაცია და შესაძლო რევოლუციური სცენარის განვითარება“, – განაცხადა **გია ვოლსკიმ**.

პარტია „მოქალაქეების“ წევრი **ლევან იოსელიანი** თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, დეოლიგარქიზაციის მიზნის მიღწევასთან ერთად, დაბრუნება სჭირდება მის პოლიტიკურ გუნდს, ასევე ოპოზიციას, რომელიც საკუთარ შეცდომებსაც ივანიშვილს აბრალებს. ვიცე-სპიკერი ამბობს, რომ დეოლიგარქიზაციის კანონის მიღება კარგია, მაგრამ ის ვერ იქნება იმ შედეგის მომტანი, რა მოლოდინსაც ოპოზიციური პარტიებისა და მედიის ნაწილი საზოგადოებაში აჩენს. ის ვერ შეეხება ბიძინა ივანიშვილს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ივანიშვილი ფორმალურად არ მონაწილეობს პოლიტიკაში და შესაბამისად, კანონი მასზე ვერ გავრცელდება.

„შეიძლება, პარადოქსულად მოგერვნოთ, მაგრამ სწორედ დეოლიგარქიზაციის და დემოკრატიზაციის მისაღ-

წევად (ორივე 12 პუნქტის ნაწილია) ვილაციისთვის ოლიგარქი, ვილაციისთვის პოლიტიკური ლიდერი, ვილაციისთვის მეცენატი – ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, ესაა ერთდერთი სწორი გამოსავალი დღეს შექმნილ სიტუაციაში, როდესაც „ქართული ოცნების“ პოლიტიკა და რიტორიკა გახდა არაპროგრესიული და დამაბნეველი მისივე მომხრეებშიც კი. იმისთვის, რომ ქვეყანა სწორ კონსტიტუციურ ჩარჩოს დაუბრუნდეს, პასუხისმგებელი პროცესებზე უნდა იყოს ის, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს ან ამ გადაწყვეტილების მიღების ყველაინი რესურსი გააჩნია.

არ დავაკენებ დარბაზში მისი როლს მთავრობაში, როგორც ეს დღეს მოდაშია, რა თქმა უნდა, მას აქვს მოქმედების გარკვეული თავისუფლება, მაგრამ ვფიქრობ, არა აქვს მთავარი – პოტენციური, წინააღმდეგობა გაუწიოს ბიძინა ივანიშვილის სურვილს, არაფორმალურად ჩაეროს პოლიტიკურ პროცესში, თეორიული შანსიც კი არ არსებობს, რომ ის თუ მოინდომებს, გაველნა მოახდინოს პოლიტიკაზე, ვინმე შეძლებს მისთვის წინააღმდეგობის განწევას“, – ამბობს ვიცე-სპიკერი.

იოსელიანის განცხადებით, შექმნილი ვითარება არ იძლევა საშუალებას, შექმნას მყარი პოლიტიკური სისტემა, სადაც პასუხისმგებლობა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულება განსაზღვრავს პოლიტიკოსის წარმატებასაც და წარუმატებლობასაც.

„დეოლიგარქიზაციის მიზნის მიღწევასთან ერთად, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ესაჭიროება მის პოლიტიკურ გუნდასაც, რომლისთვისაც მასთან კომუნიკაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია, პასუხი გაეც-

ეს კითხვებს, რომელიც არა მარტო საზოგადოებაში, არამედ მის მომხრეებშიც არსებობს, მაგალითად, რატომია ბოლო დროს ანტიდასავლური რიტორიკა ასე მოდაში? ან რა გახდა რამდენიმე კაციის სასამართლოდან ჩამოშორება და ამით სისტემის გაჯანსაღების დაწყება და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება აღმოფხვრის იმ მახინჯ პრაქტიკას, როდესაც პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში პრემიერების შეცვლა „აგვარებს“ ყველანაირ პრობლემას და ყველაფერი ისევ ისე გრძელდება. დამეთანხმებით, ეს წინააღმდეგობაში მოდის კონსოლიდირებული დემოკრატიის პრინციპთან და პოლიტიკური სისტემის მდგრად ინსტიტუციურ განვითარებასთან.

იმისთვის, რომ თანამედროვე პარტიული ევროპული სისტემა ჩამოყალიბდეს, აუცილებელია პოლიტიკურ მოედანზე რეალური მოთამაშეები იყვნენ და არ ვიყოთ იმ მდგომარეობაში, როდესაც მმართველი პარტია და ოპოზიციაც საკუთარ წარმატებას ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს. მაგალითად, „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური წარმატების გარანტია ისევე ერთი კაცია, რომელიც მათ ყველა პრობლემას მოაგვარებს, ხოლო ოპოზიციისთვის პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისთვის საჩქივების დაწესებას უტოლდება.

რეალური პოლიტიკური პროცესი კი მაშინ დაიწყება, როდესაც ბიძინა ივანიშვილი დღის სინათლეზე გამოვა, ოპოზიციის ოპონირებაში დაამარცხებს და არჩევნების გზით შეძლებს ხელისუფლების შეცვლას. მესმის, რომ ამას შეიძლება, გარკვეული დრო დასჭირდეს, მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაში, იგი დარჩება კაცად, რომელიც არაფერზეა პასუხისმგებელი, მაგრამ

ყველას „ვიმედება“, – წერს **ლევან იოსელიანი**.

ამ ვითარებაში და მით უფრო იმ ბრალდებების ფონზე, ყოფილი პრემიერის ხელისუფლებაში ისევ შემოსვლა არამართებულად მიიჩნიათ ანალიტიკოსებს. როგორც **სოსო მანჯავიძე** აცხადებს, მოსაბეზრებელი გახდა დეოლიგარქიზაციის საკითხი, რომელსაც აყენებენ ევროპარლამენტის დეპუტატები, რომელთა ძირითადი დამფინანსებელი და ლობისტი არის **ჯორჯ სოროსი**.

„თუ ვინმე არის ოლიგარქი, ეს სოროსია. ამიტომ დაიწყონ თავისი ქვეყნებიდან და განსაკუთრებით კი გლობალური დეოლიგარქიზაცია დაიწყონ, ეს უკეთესი იქნება. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მისი გადასაწყვეტია, დაბრუნდება თუ არა ის პოლიტიკაში. თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, დაბრუნების ფორმებიც ალბათ სწორი შესარჩევი ექნება – როგორ დაბრუნდება, დაბრუნდება „ოცნების“ ხელმძღვანელად, თუ პრემიერად. თუმცა ეს დაბრუნებაც ბუნებრივია, ახალი ბრალდებების მიზეზი გახდება.“

„ევროპის სახალხო პარტიის“ წარმომადგენლები და სხვები ბრალს სდებენ ოლიგარქობაში, თუმცა პარადოქსია, რომ ეს ხალხი ვინმეს ოლიგარქიაში ადანაშაულებს, როდესაც თვითონ არიან დაკომპლექტებული ოლიგარქიის მიერ, როგორც გახლავთ პარტიკულური სოროსი, ეს ხალხი, რომ ვინმეს ოლიგარქობაზე ჩივის და ბრალს უყენებს, ეს კიდევ ცალკე საკითხია.

ბატონი ივანიშვილი რომც დაბრუნდეს ხელისუფლებაში, ბუნებრივია, მის მიმართ მტრული დამოკიდებულების შენელებას არ უნდა ველოდოთ. მეორე საკითხია, რომ პოლიტიკაში ყოფნა გარკვეული ფარით კი შეიძლება იყოს იმ ბრალდებებისა, რომლებსაც მას უყენებენ და კერძოდ, არაფორმალური მმართველობის საკითხში“, – აცხადებს **სოსო მანჯავიძე**.

თამთა ძარჩავა



ქვეყანა პარტიების ინტეგრირებას ენიჭება!

ოპოზიციას უნდა, ივანიშვილს გამოასაღოს კალაუფლება, მმართველი გუნდი **იხ. 4 ბმ.** სააკაშვილისკენ იზვირს ხელს

ქვეყანაში პოლიტიკური დუდილის გემპერაგურა სულ უფრო მაღლა იწევს, პროცესები ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო იძაბება. ამ პოლიტიკური დუდილის ფონზე, რამდენად მოსალოდნელია დემოკრატიზაცია, ან როგორ მიაღწევს ოპოზიცია სასუკეარ დეოლიგარქიზაციას? პროცესების როგორ განვითარებას შეიძლება ველოდოთ ქვეყანაში? – for.ge-ს ამ კითხვებს, პოლიტოლოგი რამზა სპეციალური პასუხობს.

რამაზ სპეციალური: გადადით მაშობიტარულ არჩევნებზე და არც ერთს არ შეეხება კალაუფლება!

(მესამე გვერდიდან) — ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა დემოკრატიზაციაა. ამ დროს კი მმართველ გუნდს მისი წევრები, როგორც პარლამენტში, ასევე საკრებულოებშიც ტოვებენ. ეს პროცესი დემოკრატიზაციას ხელს რამდენად შეუწყობს?

— საკრებულოებიდან მმართველი გუნდის წევრების წასვლა უფრო მეტ კითხვებს აჩენს, ვიდრე სამი დეპუტატის პარტიიდან გასვლა. დეპუტატებმა წამოსვლის მიზეზი დაასახელეს — თუ გუნდში იქნებოდნენ, თავიანთი სათქმელის გაუღებლობა გაუჭირდებოდათ. ვინც საკრებულოდან წავიდა, თითქოს მათ რაღაც სათქმელი აქვთ ისეთი, რაც პოლიტიკურ უზერხულობას მმართველ გუნდს შეუქმნის, წარმოუდგენელია. ამ ფონზე, გაუგებარია, გვერდში რას უდგებიან. ვნახოთ, პროცესი როგორ წავა. ისეთი ვერსიებიც გაჩნდა, რომ შეიძლება ამ ხაზით დაინწყოს ახალი პოლიტიკური ჯგუფის ფორმირება.

— გვასვლას, მიხეილ ყაველაშვილი და სოზარ სუბარი „ქართულ ოცნებას“ „კბილებით“ როგორ იცავდნენ. „ოცნების“ ასეთმა გულანთებულმა მხარდამჭერებმა შესაძლოა ცალკე პარტია ჩამოაყალიბონ?

— ზოგადად, პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოყოფა და ახლის შექმნა სიახლეს არ წარმოადგენს. ასეთი რამ „ქართულ ოცნებაშიც“ და „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ მომხდარა. ამიტომ, არ გამოვირიცხავ, პროცესმა ასეთი სახე მიიღოს. თუ პარტიას ჩამოაყალიბებენ, საინტერესო იქნება. რა ნიშანს აირჩევენ. ლაპარაკი იმაზე, რომ 3-4 კაცი მმართველ გუნდს გამოეყო და არიქა, პოლიტიკაში რაღაც პროცესი იწყება, ამის თქმა ძნელია. თუ მათ ცალკე გუნდი შექმნეს და იქნებიან იმ ნიშნით, რა ნიშნითაც გამოეყვნენ, როგორც იყო თუნდაც კელი დეგნანის მიმართ რეტიკული კითხვები, მაშინ შეიძლება მათ ბევრი მომხრეც ჰყავდეთ და დასავლელი პარტნიორებიც დააფიქრონ. საერთო ჯამში, ისინი „ოცნებას“ იდეოლოგიურად არ გამოეყვნენ. ვერჯერობით ვუყრებთ „ოცნებიდან“ ხალხის გამოსვლას, მაგრამ მათ მიმართ კრიტიკულები არ არიან.

— შეიძლება თავად „ოცნებას“ აქვს გათვლა — შეილობილი პარტია ჩამოაყალიბოს და ეს გამოიყენოს შემდეგი არჩევნებისთვის?

— ვერ გეტყვით 4 კაცის გადაადგილებით ასეთი გეგმა აქვთ თუ არა. თუმცა, გამორიცხული არაა, მსგავსი პროცესები ვიხილოთ.



ქვეყანა პარტიების ინტერესებს ეწირება!

— ასევე დღევანდელი ქართული პოლიტიკური პროცესებში აქტიური თემაა დეოლიგარქიზაცია. ამ თემასთან დაკავშირებით ირაკლი ლარიბაშვილმა განცხადებაც გამოაქვეყნა და ესპრემიერი ბიძინა ივანიშვილი დაიცვა. რამდენიმე დღის წინ ივანიშვილის შევიცარიულ ბანკში მორიგი პრობლემა შეექმნა და აცხადებენ, რომ მის წინააღმდეგ არაოფიციალური სანქციები დაწესდა. რატომ გახდა საჭირო, რომ ლარიბაშვილს უნდეს „ოცნების“ დამფუძნებლის დაცვა, არის შესაძლებელი, რომ ივანიშვილი სანქცირებულთა შორის მოხვდეს?

— არაოფიციალური სანქცია ცოტა ბუნდოვანი ტერმინია. თუ ბანკისა და ივანიშვილის „ჭიდაობას“ არაფორმალურ სანქციებს დავარქმევთ, კი ბატონო. საერთოდ, სანქციები პოლიტიკური ხელმძღვანელების საქმეა და არა კერძო ბანკის. თუ კერძო ბანკი სანქციებს აწესებს, მაშინ გაუგებარია პოლიტიკურ იშველიებს რატომ იშველიებს. შეიძლება თავისი მიზეზი ჰქონდეს სანქციების დაწესების — არ იყოს ბანკის პატიოსანი მომხმარებელი და ა.შ.

— დეოლიგარქიზაციის კანონის მიღების

შემდეგ, საქართველოში როგორ განვითარდება მოვლენები და რა პროცესი წავა?

— რთული სათქმელია ამ კანონის ფარგლებში ვინ მოხვდება. ევროპარლამენტარის მარკეტა გრიგორეას ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ის სანქციებზე ბუნდოვნად საუბრობს. მისი თქმით, შესაძლოა, სანქცირებულთა შორის ივანიშვილი ან სხვა ვინმე მოხვდეს. მან ფოკუსირება ივანიშვილის პერსონაზე არ გააკეთა. არა და, ოპოზიცია მხოლოდ ივანიშვილზე ლაპარაკობს, სახელისუფლო სტრუქტურებში კი სხვა ოლიგარქებს ასახელებენ. დეოლიგარქიზაციამ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მორიგი ჭიდაობის რაუნდი გახსნა.

დეპოლარიზაცია კი ბუნდოვანი მოთხოვნაა და გეტყვით რატომ არის ბუნდოვანი. საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, რომელიც მრავალპარტიულ სისტემას ნიშნავს. ეს რას ნიშნავს, პარტიები ერთმანეთთან დაპირისპირებაში არ იყვნენ? ერთმანეთს ყელაფერზე დაეთანხმონ? — გაუგებარია. დეპოლარიზაციის მოთხოვნა ოპოზიციას საშუალებას აძლევს ევროკავშირის მოთხოვნ

ნის შესრულება ჩაშალოს. თუ მოთხოვნის შესრულება ჩაიშლება, დასავლეთი გეტყვის — მოთხოვნები ვერ შეასრულე და კანდიდატის სტატუსს არ მოგცემო. დასავლეთი თუ ამას გააკეთებს, ამით ოპოზიცია წახალისდება, ქუჩაში გამოვა და იტყვის, რომ ხელისუფლების შეცდომების გამო კანდიდატის სტატუსს არ გვაძლევინო.

— თქვენ ასხენთ, რომ ვართ საპარლამენტო რესპუბლიკა და მრავალპარტიული სისტემა. დღევანდელი გადმოსახედიდან, არის თუ არა ხელისუფლების შეცდომა, რომ კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილება და საპრემიეროდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავიდეთ?

— პირველი — ევროპელები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა რა კარგია. რა თქმა უნდა, მათი მხრიდან ასეთი ზედაპირული განცხადება გულდასაწყვეტია. ზედაპირულია იმიტომ, რომ არ უფიქრდებიან იმას, რომ ქვეყანაში პარტიები ფაქტობრივად არაა. წონის მქონე პარტია არის ერთხანად — ერთი სახელისუფლო და ნახევარი კი „ნაციონალური მოძრაობა“. ამ პირობებში საპარლამენტო რესპუბლიკის გაკეთება, რომელიც პარტიათა მრავალფეროვნებაზე უნდა იდგეს, სრულიად გაუგებარია.

მეორე — ამერიკას ყველაფერზე ტაშს ვუკრავთ, ამერიკა საპრემიეროდ ქვეყანა და ამაში მიგვბედა. ამდენი ხანია ამერიკული წყობა დგას მყარად. კერძოდ, საპრემიეროდ რესპუბლიკაა, პარტიების ბრძოლა გადატანილია მთავრობის ჩამოყალიბების იქით და ყველას მაჟორიტარული წესით ირჩევენ. პარტიის ლიდერები ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენენ. ოპოზიცია ამბობს, რომ ივანიშვილს გამოაცალონ ქალაქიდან, მმართველი გუნდი კი ანალოგიური მოხონით სააკაშვილისკენ იშვერს ხელს. გადადით მაჟორიტარულ არჩევნებზე და არც ერთს ექნება ძალაუფლება და არც მეორეს.

სრულიად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, ქვეყნისთვის დიდი შეცდომა იყო. თავად, მმართველი პარტიისთვის, რა თქმა უნდა, არაა, რადგან მთელი სადავეები მას აქვს. ამიტომ არის, რომ სხვა პარტიები ჩუმად არიან. ვინცობაა, უმრავლესობით ისინი მოვიდნენ, შემდეგ ეს საპარლამენტო სისტემა იმთავით გამოადგებათ. საერთო ჯამში კი, ქვეყანა პარტიების ინტერესებს ეწირება.

ქატი გიორგაძე



თითქმის არაფერია, ყურნალისტს რაც უფრო ინფორმირებული წყარო, ყვავი, ჩიტი თუ გვრიტი ეყოლება „მიმწოდებელი“, მით უკეთესი მისთვის. ვერ ერთი, ინფორმაცია სანდოა და მეორეც, თუ „ახალი ამბების“ „ჩამწვეთებელი“ დიდსკამოსანია (ყოფილი თუ მოქმედი, მნიშვნელობა არა აქვს), ეს უფრო მეტად ამოიღებს ამ ყურნალისტის „სტატუსს“.

სუმობა საქმე ნამდვილად არაა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ლამის პირველ ვიოლინოს მოსაცდელში „პაპკები“ ხელში რომ ალოდინებ (ან „ჩათში“ დაგვიანებით რომ პასუხობ), მაგრამ ისიც ცხადია, გოგაშვილი „მიადგა“ მათ, ვისთანაც მიესვლებოდა, შემთხვევით არ მისულა „სამეულთან“ — ნდობის ფაქტორი უმთავრესი იყო, თუმცა, ბატონ სოსოს, კიდევ დამატებით, სულ მცირე, 10 ყურნალისტთან მაინც მიესვლებოდა.

პირველი ნაბიჯი მაინც „პირველთან“ გადადგა და თქვა: ინფორმაცია ბევრი მაქვს და თუ საჭირო იქნება ყველაფერს ვიტყვი. ეს იყო პირველი ინტერვიუ,

„ბიაში გასკდა“ — გოგაშვილი, „სიყვარული“, „ხანძარი“ და ქართული ჟურნალისტიკის „მაგები“...

სადაც ზოგადად ისაუბრა კარგად დავიწყებულ ძველზე, თუმცა მაინც რაღაცნაირად სკანდალური — აქამდე უშიშროების არც ერთი მაღალკამოსანი „შავ ყუთში“ არ დასკუპებულა და ღიად არ უსაუბრია. რაც მთავარია, მელაძემ „ყბადღებულ თემა“, სპეცოპერაცია, რა დროსაც თემირლან მაჩალიკაშვილი იქნა მოკლული, თითქმის ორსაათიან ეთერში, ერთხელ და ისიც „ღაითად“

ახსენა. გოგაშვილმა კი მისთვის მთავარი სათქმელი თქვა — ბევრი ვიცი და ამჯერად ჩუმად ვარ — ვისაც უნდა გაეგო, გაიგო, გააგებინა.

მელაძეც და გოგაშვილიც კმაყოფილები დარჩნენ — მელაძე სამში ერთი აღმოჩნდა, პირველი და მოწინავე, გოგაშვილმა კი პირველი მუქარა ადრესატს საჯაროდ „შეუთვალა“.

შემდეგ იყო ასე, იარა რედაქციიდან რედაქციაში, ყველასთან — არა, შერჩევით. არადა, ყველა ურეკავდა, მოთხოვნადი გახდა. მოკლედ, ეგო და იკმაყოფილა — უსკამოდაც საჭირო კაცი იყო.

კვარცხლბეკი არ გააცვივა და პარტია შექმნა. მერე „დექემა აფრინა“, პარტიულ ჭრილში მდევნიან და არ ამაღაპარაკონ — მაინც არ ალაპარაკდა.

მოვიდა არსაიდან. უცებ აღმოცენდა.

იარა, იარა, ბევრი ჩანერა, ბევრს გადაულო, „პაპკა“ აავსო — და ეს მისი საქმეა. საქართველოში სახელმწიფო უსაფრთხოება კარგა ხანია, „ამ გზით დადის“. არც არავის გაახსენდებოდა, კულისებიდან რომ არ და-

ენყო „ჟღერტული“. დიდი ხნის წინ უნდა გაეხმაურებინათ ჩანანერი, ხალხმა უნდა იცოდეს რეალობა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ „ასე იყო საჭირო“, ფირის „შემოგდების“ დროც დადგა. სოსომ, როგორც ჩანს, ამჯერად „მოძრაობა“ იმ „ტერიტორიაზე“ დაიწყო, სადაც სხვები ძლივს ინარჩუნებენ ადგილს და ამიტომ „ბიაში გასკდა“.



არა უშავს, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

დაახლოებით 20 წინადადებიანი ჩანანერიდან გავიგეთ, ვინ ვისი ჩიტი, ვინ ვისი დაქალი და ისიც, რომ გოგაშვილი სოცდაუცვლელი შემწევობით, თვეში 126 ლარით ირჩენდა თავს, არჩენდა ოჯახს და რომ ამ თემას სიუჟეტი მელაძემ მიუძღვნა. იმხანად სოსოს დაქალი, როგორც ეს ჩანანერში გაბუნიას ხამ გაწყობდა, არ იყო, ამიტომ ნოდარმა სოსო „შეუყვანა“. „საჭირო დროს, საჭირო მომენტში“ კი არც ერთი არ განითლეებულა და... დამეგობრდნენ.

ზოგი ამბობს, ოჯახიდან მოდგამსო, დეკლარაცია კი გვეუბნება, 2013 წლამდე ქონება არ ჰქონდაო, არც შემოსავალი. „ჩიტის“ ბახალევი კი გარკვევით ამბობენ „უცნობის“ მიერ გავრცელებულ ჩანანერში — აი, ლისზე „იმოტოლა“ ქონება აქვსო. აი, სადაც მინები, უთვალავი ჰექტარიო. საოცარია, არა? — არაფრისგან ყველაფერი!

და არავინ ამბობს, თავის დროზე ვის და რამდენს ლობირებდა, ვის შეიძლება სანაცვლოდ „რაღაც

და არავინ ამბობს, თავის დროზე ვის და რამდენს ლობირებდა, ვის შეიძლება სანაცვლოდ „რაღაც

და არავინ ამბობს, თავის დროზე ვის და რამდენს ლობირებდა, ვის შეიძლება სანაცვლოდ „რაღაც



მარტინ კრეველი:

უბრალოდ, ვერ გაუძლებენ, ანუ ხუთი მიზეზი, თუ რატომ გაიმარჯვებს რუსეთი...

გერმანულ გაზეთში „Die Welt“ სათაურით „უბრალოდ, ვერ გაუძლებენ. ხუთი მიზეზი, თუ რატომ გაიმარჯვებს რუსეთი“, გამოქვეყნებულია იერუსალიმის (ისრაელი) უნივერსიტეტის პროფესორის, სამხედრო თეორეტიკოსის მარტინ კრეველის სტატია, რომელშიც რუსეთ-უკრაინის ომის პერსპექტივაა გაანალიზებული.



„დი ველტი“ და ეს კომენტარი იმპერსალიმიდან არ გამოდის... კუბინის აგენტებმა, თუმცა... ბაბლ კარგელთან მიხედვით!

„ომის დაწყების პირველი დღეების შემდეგ, როცა დასავლეთმა ერთობლივად სოლიდარობა გამოავლინა და რუსეთს ტოტალური სანქციები გამოუცხადა, ისავე როგორც სხვაში, მის დაჩაგრულ მიწაში, რომელიც აქამდე უკრაინის დამარცხდა. დატალაზა თუ არ შევირდებით, ჩვენი რწმენა სამ ქრისტიანულ ფაქტორს ეფუძნება:

პირველი – 1945 წლიდან ბევრი ქვეყნის რეგულარული არმიები მარცხდებოდნენ იმის გამო, რომ მონინალმდეგეს „სახალხო მხარდაჭერა“ ჰქონდა: პარტიზანული ომი, რეგიონული დაუმორჩილებლობები, იატაკქვეშა მოძრაობა, ტერაქტები და ა.შ. გავისხენოთ ბრიტანეთის „მალინიური ომი“, რომელსაც ზოგიერთი ექსპერტი ლონდონის გამარჯვებულ თვლის, სინამდვილეში კი ბრიტანეთი დამარცხდა... ანდა საფრანგეთის მარცხი ალჟირში, ვიეტნამის წარმატებული ბრძოლა აშშ-ის წინააღმდეგ... ყველა ამ ომში ოკუპანტები ოკუპირებულეთან მარცხს განიცდიდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმარჯვებდნენ არა რეგულარული არმიები, არამედ სახალხო შეიარაღებული მოძრაობები.

მეორე ფაქტორი ჩემი მცდარი რწმენისა ის იყო, რომ მჯეროდა - რუსეთის დამარცხებას უკრაინის გეოგრაფია განაპირობებდა: უკრაინის ტერიტორია დიდია, მოსახლეობა კი მჭიდროდ დასახლებული. ომი რაც უფრო ხანგრძლივად გაჭიანურდებოდა, რუსეთი მით უფრო გამოიფიტებოდა. ამის მაგალითი თვალწინ მქონდა - ავღანეთის ბრძოლები, სადაც საბჭოთა კავშირმა უზარმაზარი შეიყვანა, მაგრამ ქვეყანა ბოლომდე მაინც ვერ გააკონტროლა, საბოლოოდ კი დამარცხებული უკან გამოვიდა. მოხდა უარესი - ავღანურმა ეპოპეამ ხელი შეუწყო სსრ კავშირის დაშლას. მოგვიანებით რუსეთმა დიდი დანაკარგების ფასად შეძლო პატარა ჩეჩენეთის შენარჩუნება. და ეჭვი მეპარებოდა - განა შეძლებდა კრემლი ბევრად უფრო დიდი და ძლიერი უკრაინის დამარცხებას?

მესამე მიზეზი ჩემი შეცდომისა სუბიექტური ფაქტორი იყო - ძალიან მინდოდა ამ ყველაფერს „ბედნიერი დასასრული“ ჰქონოდა (უკრაინის და დასავლეთის სახარტვლოდ). ამ მხრივ მე არ განვსხვავდებოდი სხვა ექსპერტებისა და პოლიტიკოსებისგან. მაგრამ მას შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გა-

ვიდა. მე მთლიანად შევცვალე ჩემი შეფასებები შექმნილი სიტუაციის მიმართ. აი, რა ფაქტორებმა მაიძულეს ამის გაკეთება.

პირველი - „უკრაინული გაილიოს“ პარასეზობა ომის დაწყების დღიდან უკრაინაში სახალხო-პარტიზანული ომი რუსეთის წინააღმდეგ არ დანაშაულებს. იატაკქვეშა სისხლიანი ბრძოლის ნაცვლად უკრაინის ხელისუფლება ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი დასავლური იარაღი მიიღოს, ანუ იმედი აქვს, რომ ყველაფერი სახელმწიფოთაშორისო ომით გადაწყდება, მასობრივი მოსპობის საშუალებების გამოყენების გარეშე. ტანკებით, ქვემეხებით, რაკეტებით, თვითმფრინავებით, კიევი ფიქრობს, რომ უცხოური იარაღით რუსებს შეაწინააღმდეგებს და ქვეყნის ტერიტორიიდან განდევნის. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკრაინის ქვემეხის ერთ ზალაზუე რუსეთის ქვემეხი ათი ზალაზუე პასუხობს, ასეთ სტრატეგიას მხოლოდ „მარცხის რეცეპტს“ თუ უწოდებ, მეტს არაფერს.

მეორე - რუსეთის მიერ მთავარი მიზანი რუსულმა არმიამ ომის პროცესში თავდაპირველი ტაქტიკა ძალიან შეცვალა. როგორც ჩანს, პირველ ეტაპზე სარდლობამ სწორად ვერ შეაფასა მონინალმდეგის შესაძლებლობები, შემდეგ კრემლმა „ფრენები გააჩინა“ და „შეცდომებზე ისწავლა“, რასაც ზოგიერთი გენერლის პოსტი შეწინააღმდეგებდა. არმიაში გადაჯგუფება მოხდა, დაიწყო უკრაინის არმიის ოპერატიული და სარეზერვო რესურსების განადგურება, ქალაქებისა და მსხვილი დასახლებული პუნქტების დაცვის მიზანმიმართული დასუსტება - ისე როგორც ამას იოსებ სტალინი და მისი გენერლები აკეთებდნენ ფინეთთან ომის მეორე ეტაპზე. ისევე როგორც 1939-1940 და მოგვიანებით - მეორე მსოფლიო ომის წლებში, რუსები ეყრდნობიან მასობრივ საარტილერიო დარტყმებს. ვერჯერობით ასეთი ტაქტიკა ამართლებს, ქვემეხებისა და სარაკეტო ზალაზუეებით ცოცხალი ძალა შენარჩუნდება. ასე რომ, რუსებს რეზერვი აქვთ, ისინი უკრაინელებზე გვიან გამოიფიტებიან.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ მადლობას მთავსენებს ცნობთ პუბლიკაციის მოწოდებისთვის... საერთაშორისო მიმომხილველს სიმონ კილაძეს ამ ერთობ საგულისყურო პუბლიკაციის მოწოდებისთვის...

მესამე - უკრაინის არმიის მომარაგების პრობლემა ომის დასავლური სისტემები, განსაკუთრებით ჰაერსანიონალმდეგე დაცვა, ჯავშანსხვრევი და უპილოტო საფრენი აპარატები, თუ უკრაინის ისინი დიდი რაოდენობით ექნებოდა მინოდებული, შესაძლოა, კიევის კარგად დახმარებოდა. მაგრამ იარაღი გამოუღეველი არ არის, თანაც თუ მოემართა მხარე ისე არ მარაგდება, როგორც ამას ომის გააფთრებული ხასიათი მოითხოვს... რუსებს ესმარება ევროპელების ტრადიციული სიძუნწე თავდაცვის სფეროში, მათი ბრიყველი თავდაჯერებულობა, რომ „ჩვენთან, ევროპაში“, ომი უკვე აღარ მოხდება“. დავამატოთ ამას თანამედროვე იარაღის შესწავლა-ათვისების სიძნელეებიც უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების მიერ, რაც დროის დეფიციტში გამოიხატება. ანუ ისინი სწავლობენ, მაგრამ რუსეთსაც არ სძინავს. შედეგი: ჩვენ კუს ნაბიჯით მივიდვართ, როცა უნდა ვირბინოთ. ჩვენი მართლაც ეფექტური იარაღი დროულად არ ხვდება იქ, სადაც ის განსაკუთრებულად საჭიროა. რუსებისთვის მომგებან როლს ასრულებს ისიც, რომ ისინი „თავიანთი სახლის კართან“ იბრძვიან, ნატოს კი მომარაგება შორიდან უხდება. დასავლური იარაღის ფრონტზე მიტანა ვაკე ადგილზე არსებული კომუნიკაციებით ხდება, ანუ ყველაფერი ხელისგულზე ჩანს, ვერსად ვერ დაიმალება. შედეგი: დასავლური იარაღის ქარავნები რუსების სარაკეტო საშუალებებისა და ავიაციისათვის კარგ სამიზნეს წარმოადგენს, ხოლო ფრონტის საზღვრებში განლაგების შემდეგ ისინი რუსული ქვემეხების მასობრივად ცეცხლით ნადგურდებიან.

მეოთხე - რუსული ეკონომიკის წინააღმდეგობის განდევნის უნარი რა თქმა უნდა, როცა ქვეყანაში მკაცრი ცენზურაა, როცა რუსებს აკრძალული აქვთ ცხოვრების პირობებზე ჩივილი, როცა მასმედია ხელისუფლების მკაცრ კონტროლქვეშაა, ეს ყველაფერი ართულებს იმის შეფასებას, თუ რამდენად ეფექტურად მოქ-

მედებს დასავლური სანქციები. ჩვენ ამ ეტაპზე არ შეგვიძლია გავიგოთ, რამდენად გაუარესდა რუსეთის მოქალაქეთა ცხოვრების პირობები. ამის მიუხედავად, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ზოგადი მაკროეკონომიკური შეხედულებითაც კი ჩანს: რუსეთის ეკონომიკას ბევრად უფრო მეტი წინააღმდეგობის განდევნის უნარი აღმოაჩნდა, ვიდრე ამას დასავლეთი მოელლოდა. რუსეთის ოქროსა და ვალუტის რეზერვები კი არ მცირდება, პირიქით - იზრდება... რუბლმა, რომელიც ომის დასაწყისში კოლაფსის ზღურბლზე აღმოჩნდა, „მეორე სუნთქვა“ შეიძინა და კურსი განიმტკიცა. დასავლეთი რუსეთს ენერგოემბარგოს უცხადებს, რუსეთი კი ნავთობგაზის კლიენტებს აღმოსავლეთში პოულობს - ჩინეთ-ინდოეთის სახით. ჩინეთს შეუძლია რუსეთის ეკონომიკაში დასავლეთი ჩანაცვლის, თანაც ყველაზე თუ არა, ბევრ პოზიციაში მაინც.

მესამე - ომის პერსპექტივის დასავლეთისთვის


რუსეთთან კონფრონტაციის ეკონომიკური შედეგები დასავლეთისთვის ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ. „რუსული არნივის კლანჭებიდან“ უკრაინის გამოგლეჯვა დასავლეთისთვის უფრო ძნელად შესასრულებელი ამოცანა გამოდგა, ვიდრე 1980 წლის ანტი-საბჭოთა მისია ავღანეთში. ატლანტიკის ორივე ნაპირზე ახლა ინფლაცია უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე 1980-იანი წლებიდან. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ენერგეტიკაში - ამ სფეროში ევროპა 40%-ით რუსეთზეა დამოკიდებული და თუ ალტერნატივას ვერ იპოვის, ევროკავშირის წინ საგანგებო სიტუაციის შემოღება ელოდება.

და თუ მოვლენები ასე განვითარდება (და აშკარაა, რომ მართლაც ასეთი პირი უწინაა), ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობაში უკმაყოფილება გაიზრდება. ალბათ, ისე მოხდება, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობის განყოფილება სულ უფრო ნაკლებად იქნება უკრაინის სასარგებლოდ - შესუსტდება კიევისადმი დახმარების განხორციელების სურვილი, სხვადასხვა ხმამაღალი ლოზუნგების მიუხედავად. შეიძლება სიტუაცია ისე განვითარდეს, რომ ევროკავშირის მოსახლეობამ ამგვარი პროექტების საერთოდ შეწყვეტა მოითხოვოს - იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს უკრაინის ოთხივე მიმართულებით გაშვებას და პუტინის ნების აღსრულებას ნიშნავს.

რუსეთთან ბრძოლას ძველი ტაბუების დარღვევასთან მიეყვანება: განმანათლებლობის ეპოქიდან დაწყებული ევროპა ამჟამად იმით, რომ თავისუფლების, სამართლიანობის და სამართლებრივი სახელმწიფოს ბურჯად ითვლებოდა. და ამ დროს ყველას თვალწინ ხდება ე.წ. ოლიგარქების არაერთგზისი და საჯარო „განკულაკება“. კერძო საკუთრების ამგვარი ღია კონფისკაცია ძირს უთხრის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასა და პრინციპებს. ზოგიერთი შემთხვევა მართლაც უსამართლობის ფაქტია. განა ზუსტად ვინმემ იცის, თუ რას ნიშნავს ოლიგარქობა? და თუ ვინმეს ვლადიმერ პუტინთან ურთიერთობა ჰქონდა, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ავტომატურად დამნაშავენი არიან? საინტერესოა, თუ ხედავდნენ, რომ „ოლიგარქები“ დამნაშავენი იყვნენ, რატომ არ იღებდნენ ზომებს ომამდე? ხომ არ მოხდებოდა ისე, რომ ოლიგარქების დევნით დასავლეთი ძირს უთხრის, ნალმს უდებს თავისსავე მაღალ პრინციპებს და ფასეულობებს?

სწორად გამიგეთ: რასაკვირველია, რუსეთ-უკრაინის ომში ვერ საბოლოოდ არაფერი გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ვითარება გაეჩვენება, რომ ომი საკმაოდ ხანგრძლივი იქნება. და მასში ის გაიმარჯვებს, რომელსაც მორბენალის მსგავსად, დიდ დისტანციაზე სუნთქვის უნარი ექნება, დიდი დატვირთვის გაძლების უნართან ერთად. ამის შანსი უკრაინაზე უფრო მეტად რუსეთს აქვს.

თარგმან სიმონ კილაძე



ამას წინათ საქართველოს ერთ-ერთმა რადიომ მარშლის გეგმა გაიხსენა და ბევრი ილაპარაკა აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივან ჯორჯ მარშალზე - გეგმის ავტორზე, რომელმაც მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ევროპის ქვეყნებს შევება მოუტანა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მძიმე დღეში ჩაეარდნილმა ევროპამ, მარშალის გეგმით გამოყოფილი თანხები მიზანმიმართულად აითვისა და ომით მიყენებული ზარალი, გონიერი შრომით, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს თუ სრულად არა, ნაწილობრივ აღმოფხვრა. მარშალის გეგმა სულაც არ იყო ქველმოქმედება, მას ამერიკისთვის მოგება უნდა მოეგანა - ეკონომიკურად წელგამართული ევროპიდან. მარშალის გეგმა გრძელვადიანი სესხი იყო - წარმატების მომგანი, როგორც აშშ-ს, ისე ევროპის ქვეყნებისთვის. მარშალის გეგმის გახსენებასთან ერთად რადიომ ისიც გვითხრა, რომ მარშლის გეგმა საბჭოთა კავშირსაც შესთავაზეს, მაგრამ საბჭოეთის მეთაურმა სტალინმა უარი თქვა მასზე და ისიც დააყოლა, რომ შეშინდა იდეოლოგიური გავლენის გამო, რომელიც მოპყვებოდა გეგმის განხორციელებასო.

ახალი ფულის ერთეულს, ოქროთი გამაგრებულს და დოლარის ალტერნატივას, 1955 ან 1960 წელს უნდა დაეწყო მოქმედება.



ჩამოყალიბების გრანდიოზული გეგმა ჰქონდა. ამ გეგმაში აშშ-ი და მისი მოკავშირეები არ შედიოდნენ. სტალინური გეგმა იყო ტრანსკონტინენტური „საერთო ბაზარი“, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და საბჭოთა კავშირის ლიდერობით. მომდევნო ეკონომიკურ თათბირებს სტალინი გეგმავდა სხვა ქვეყნებში გაეროს ტრიბუნის გამოყენებით, მაგალითად, 1953 წლის 23 თებერვალ-4 მარტს მანილაში ჩატარდა გაეროს ეკონომიკური კომისიის კონფერენცია აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის. ეს კონფერენცია სსრკ-ის თაოსნობით გაიმართა. მას მხარი დაუჭირეს ჩინეთმა, მონღოლეთმა, ინდოეთმა, ირანმა, ინდონეზიამ, ბირმამ, ჩრდილოეთ ვიეტნამმა. კონფერენციაში მონაწილეობდა 20 ქვეყანა. ყველა მონაწილემ მხარი დაუჭირა მოსკოვის წინადადებას აზია-წყნარი ოკეანის აუზში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით, ისე, როგორც იდებს - ქვეყნებს შორის ანგარიშსწორებას ეროვნულ ვალუტაში. სტალინი დაწვრილებით გაეცნო მანილის კონფერენციის შედეგებს - 2-3 დღით ადრე სივლილამდე. სტალინის გეგმის მიხედვით, 1953 წელს, მანილის მსგავსი კონფერენციები უნდა გამართულიყო თეიანში, აღის-აბეგაში, ბუენოს-აირესში, ჰელსინკიში, მაგრამ აღარ ჩატარდა - სტალინის გარდაცვალების გამო. საბჭოთა ხელმძღვანელობა, გართული პირველობისთვის ბრძოლაში, აღარ აქცევდა ყურადღებას სტალინის გეგმას, რომელიც დროთა ვითარებაში მივიწყებას მიეცა. მოსკოვის თათბირამდე სპეციალისტები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ დოლარის ალტერნატივა ეკონომიკური ურთიერთდახ-

ზომმა ეს არგუმენტი შეიძლება სინამდვილედ ჩათვალოს, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ანტიკონტინენტური კოალიციის 3 მთავარ წევრ - სსრკ, აშშ, დიდ ბრიტანეთს შორის იდეოლოგიურმა სხვაობამ, კაპიტალიზმ-სოციალიზმს შორის დაპირისპირებამ თავი ისევე იჩინა - ანა კრემლის თაოსნობით, არამედ ლონდონ-ვაშინგტონისა. ომის დროს იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა შორის მწვავე დაპირისპირებას ადვილი არ ჰქონია. მათ საერთო მტრის, გერმანული ფაშიზმის განადგურების ამოცანა აერთიანებდათ. ომის დროს აშშ-მ ვიკე-პრეზიდენტის ტრუმენის განცხადება: „თუ დავინახავთ, რომ გერმანია იგებს ომს, სსრკ-ს დავეხმარებთ; თუ სსრკ-ს უპირატესობა თვალსაჩინო იქნება - გერმანიას“. გვერდით იქნა გადადებული და ომის პირველივე დღეებიდან აშშ-მა „ლენდ-ლიზის“ კანონით დაიწყო საბჭოთა კავშირისთვის, როგორც სასაქონლო, ისე ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. „ლენდ-ლიზის“ კანონით გათვალისწინებული დახმარების ნა-

სტალინური მონეტარული გეგმის რეანიმაცია?!

ვიმეორებ - სსრკ-აშშ-დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობა, რომელსაც ადვილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს, 1946 წელს დამთავრდა. ფულტონში დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვით - „ცივი ომის“ დაწყებით, რომელიც 45 წელი გრძელდებოდა და 1991 წელს სსრკ-ს დაშლით დასრულდა.

მანამდე კი ტრუმენის გვერდზე გადადებული გამოთქვამის რეანიმაცია მოხდა, როდესაც 1945 წლის გაზაფხულზე ამერიკა-დიდი ბრიტანეთმა, სსრკ-სგან მალულად დაიწყეს გერმანულ ფაშისტებთან საიდუმლო მოლაპარაკება - სახელწოდებით „ვროსტოლი“, რამაც სტალინის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია და რაც აისახა აშშ-ს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილში.

მოლაპარაკება შეწყდა, თუმცა ანტისაბჭოური განწყობა და ქმედება გაგრძელდა. 1945 წლის ივნისში შეიქმნა ჩერჩილის გეგმა, რომლის მიხედვით გათვალისწინებული იყო მეორე მსოფლიო ომის მე-3 მსოფლიო ომში გადასვლა, ყოფილი მოკავშირეების საბჭოეთზე გადამქრების და ამ ომში დამარცხებული გერმანიის ჩართვით.

ჩერჩილის გეგმა შეუსრულებელი დარჩა საბჭოეთის სამხედრო ძლიერების გამო. მაშინ დასავლეთი ჩამოუვარდებოდა საბჭოეთის ეკონომიკის ომის შემდგომი აღდგენის ტემპში. რას ითვალისწინებდა დასავლური ეკონომიკური ომი?

სსრკ-სთვის გამალბებული შეიარაღების თავსომხვევას, სავაჭრო-საურთიერთობო მლოკადის მოწყობას, ეკონომიკის ძირის გამოსათხრელად სპეციალური დივერსიული ოპერაციების ჩატარებას, სხვა ქვეყნებთან სსრკ-ს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში პრობლემების შექმნას.

აღნიშნულის საპირისპიროდ კრემლმა გადადგა ასეთი ნაბიჯი - 1949 წელს შექმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრკ-ს შემადგენლობით. დამკვირვებლის სტატუსი მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ, ჩრდილოეთ კორეამ. 1950 წელს ორგანიზაციას შეუერთდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მოგვიანებით მასში გაწევრიდნენ მონღოლეთი, კუბა, ჩრდილოეთ ვიეტნამი. დამკვირვებელი გახდა ფინეთიც.

საბჭოთა კავშირის თაოსნობით, 70 წლის წინ, მოსკოვში ჩატარდა საერთაშორისო ეკონომიკური თათბირი, რომლის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტალინი. მიუხედავად ვაშინგტონის წინააღმდეგობისა, 1952 წლის 3-12 აპრილს მოსკოვში გამართულ ღონისძიებაში 49 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას - 680 წარმომადგენლით.

თათბირში მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, დანიის, ნორვეგიის, კანადის, თურქეთის, გერმანის, აშშ-ის, მრავალის, ინდოეთის, ინდონეზიის, ავსტრალიის, ლიბერის, საუდის არაბეთის, მენილუქსის ქვეყნების მენარმეები, ექსპერტები, სახელმწიფო მოხელეები.

თათბირის მუშაობის პერიოდში ხელი მოეწერა 60-ზე მეტ სავაჭრო, საინვესტიციო, სამეცნიერო-ტექნიკურ ხელშეკრულებას.

საბჭოთა კავშირმა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ წამოაყენეს აშშ-ის სავაჭრო-ეკონომიკური და საფინანსო დიქტატურის საპირისპირო წინადადება საქონლის, მომსახურების კაპიტალდაბანდების სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რომელსაც დოლარის გარეშე უნდა ემუშავა. ასე რომ, 70 წლის წინ მოსკოვმა მისცა იმპულსი არადოლაროზებულ საერთო ბაზრის შექმნას. მას დასავლეთში სტალინის გეგმა ერქოდა.

საარტიკო მასალებიდან გამოვლინარე, რაც გამოქვეყნდა რუსულ მედიამ, სტალინის მსოფლიოში ახალი ეკონომიკური წესრიგის



სრუბროვმა დაასამარა სტალინის შორსმიახალი გეგმა...

წელი - კვების პრობლემების, ჰუმანიტარული ტვირთის სახით საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. რაც შეეხება სამხედრო და სხვა სახის ტვირთს - გადახდას ექვემდებარებოდა.

ომის დამთავრების შემდეგ აშშ-მ მოსკოვს წარუდგინა ანგარიში, რომლის გადახდაზე კრემლმა უარი განაცხადა. შეიქმნა ორმხრივი კომისია, რომელმაც საფუძვლიანად განიხილა საკითხი და გადასახდელი თანხა დაადგინა, თუმცა „ცივი ომის“ პერიოდში, დაწყებულმა დაპირისპირებამ, ამ პროცესს ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა არ მისცა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისმა მემკვიდრე რუსეთმა, 2006 წელს გადაიხადა ვალი.

„ლენდ-ლიზმა“ თავი სულ ახლახან შეგვახსენა, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტმა მაიდენმა, აპერად, უკრაინის დასახმარებლად გამოიყენა ვანონი, რომელიც უკრაინას გაუწევს, როგორც სამხედრო, ისე ჰუმანიტარულ დახმარებას. უკრაინასაც ისე, როგორც პირველ შემთხვევაში სსრკ-რუსეთს, მოუწევს ვალის გარკვეული ნაწილის გადახდა. დაუგზავნდეთ მარშლის გეგმას და ვარაუდს, რომ სტალინმა აშშ-ს იდეოლოგიური ზეგავლენის შიშით უარი თქვა მარშლის გეგმაზე. რას ფიქრობდა სტალინი იდეოლოგიურ ზეგავლენაზე, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ მას, რომ ასე ფიქრობდა, გასაკვირი არ არის. მარშლის გეგმა არა მარტო ეკონომიკურად აადრინა ვეროპა, არამედ იდეოლოგიურად გარდაქმნა და უხილავი თუ ხილული ძაფებით აშშ-ს მიამა.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი სტალინის უარისა. მთავარი, სტალინური გეგმა იყო, რომელსაც დიდი უპირატესობა უნდა მოეტანა სოციალისტური ბაზრის ქვეყნებისთვის ამერიკულ კაპიტალიზმთან ბრძოლაში.

მარების საბჭოს ქვეყნებსა და სსრკ-ს შორის უნდა ყოფილიყო რუბლი, მით უმეტეს, როდესაც 1950 წელს საბჭოთა რუბლი ოქროს მიემა. მანამდე, 1937 წლიდან საბჭოთა რუბლის კურსი განისაზღვრებოდა აშშ-ის დოლარით, მასზე ადრე კი - ფრანგული ფრანკით. საბჭოთა მთავრობის დადგენილებით, ოქროსთან მიმართ რუბლის კურსი გაეცლებოდა გამყარდა აშშ-ის დოლარზე.

1951 წელს მოსკოვში ჩატარებულ თათბირზე სტალინმა თქვა: „მის შემდეგ, რაც ჩვენ გადავიწყვეთ ჩვენს ფულს ოქროს საერთაშორისო ვაშინგტონის ოქროს, ერთმანეთს შორის ურთიერთდახმარების პრობლემის დასაწყობად, ამისთვის შევამოთ სპეციალური საერთაშორისო კომისიას“. სტალინმა ახსენა ოქროს ეკვივალენტის შემცველი საერთაშორისო ფული, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა საერთაშორისო ანგარიშზე.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებსა და განვითარებადი ქვეყნებში ახალი ფულის ერთეულს, ოქროთი გამაგრებულს და დოლარის ალტერნატივას, 1955 ან 1960 წელს უნდა დაეწყო მოქმედება.

სტალინის სურდა, რომ ოპერაცია 1955 წელს დაწყებულიყო, თავისთავად სიცოცხლეში, მაგრამ სპეციალისტებმა განუმარტეს, რომ საჭირო იყო ეკონომიკური საბჭოს ქვეყნების ეკონომიკების ამაღლება. 1953 წელს, სივლილამდე ნახევარი თვით ადრე, სტალინი დათანხმდა ბოლო ვადას - 1957 წელს, დაამთხვია რა ის საბჭოთა კავშირის შექმნის მე-40 წლისთავს.

ხრუსჩოვმა, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შემდეგ, ჩათვალა, რომ ურთიერთსახელმწიფოებრივი ვალუტა - ოქროთი გამაგრებული, არადროულია და რუბლი ისევე მიამა დოლარს, რითაც დაასამარა სტალინის შონსმიმავალი გეგმა.

საერთაშორისო პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანებისთვის უცხო არ არის რუსეთის პრეზიდენტის პუტინის განცხადებები რუსეთსა და ჩინეთს, რუსეთსა და ინდოეთს ან სხვა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების არა დოლარში წარმოება, არამედ ეროვნულ ვალუტაში. რუსეთმა ევროკავშირის ქვეყნებსაც კი ბუნებრივი აირის ფასი რუბლში გადაახდევინა.

პუტინის გეგმა - ვაჭრობის ეროვნულ ვალუტაში წარმოების თაობაზე წააგავს სტალინის გეგმას, თუმცა არის სხვაობაც, მაგრამ პოლიტიკა ისეთივეა, როგორც მაშინ. მიზანი ამ პოლიტიკისა ისეთივე შონსმიმავალია, როგორც სტალინის - ალტერნატიული მყარი ვალუტის შექმნა, რომელიც დოლარის მსოფლიო დომინირებას და აშშ-ს ჰეგემონიას წყალს შეუყენებს.

ჰამლეტ შივაშვილი, კომპოზიტორი



პუტინის გეგმა - ვაჭრობის ეროვნულ ვალუტაში წარმოების თაობაზე წააგავს სტალინურ გეგმას

მოკაპალ ფესტივალად, ოზურგეთელად!

ოზურგეთის ალექსანდრე ნუნუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ნიკოლოზ საბაშვილის საავტორო სპექტაკლით „რესპუბლიკა გურია“ დაიხურა. მანამდე კი, თეატრის მცირე სცენაზე, მაცურებელმა რეჟისორ ელენე მაცხოვნაშვილმა მიერ დადგმული საავტორო სპექტაკლი „ცის-კარი“ იხილა. სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს და მასში ოზურგეთის თეატრის მსახიობები მონაწილეობენ. ფესტივალის დასრულებას კულტურის მინისტრი თეა ნულუკიანი დაესწრო.

დასურვის ცერემონიაზე 6 ნომინაციებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. მთავარი პრიზი – „ნოდარ დუმბაძის პრემია“ გაიცა შიმ-დეზ ნომინაციაში:

1. საუკეთესო სცენოგრაფია – ლომგულ მურუსიძე, ქეთევან ციციშვილი; ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლი „ჯაჯო“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე.



2. საუკეთესო მსახიობი – მარინა დარასელია ეთეროს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში – „შაშვი შაშვი მაცვალ“, რეჟისორი ნიკა ჩიკვაძე, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი.

3. საუკეთესო მსახიობი – რამაზ ხომასურიძე ჯაჯოს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „ჯაჯო“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი.

4. საუკეთესო რეჟისორი – ელენე მაცხოვნაშვილი, სპექტაკლი „ნუ გააღვიძებ“, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი.

5. ქართული მწერლობის საუკეთესო სცენური ინტერპრეტაცია – „შაშვი შაშვი მაცვალ“, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი.

მატული თეატრი, რეჟისორი იკა ჩიკვაძე. 6. საუკეთესო სპექტაკლი – „კაცია – ადამიანი?“, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რეჟისორი ლევან წულაძე.

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 5-15 ივლისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 8 თეატრი 9 სპექტაკლით, ხოლო 15 თეატრი ჩვენს დედაქალაქიდან და საქართველოს რეგიონებიდან 17 სპექტაკლით. მაცურებლის წინაშე წარდგა ლვოვის მარია ზანკოვეცკას სახელობის ნაციონალური აკადემიური დრამატული თეატრი უკრაინიდან; ასევე დასები პორტუგალიდან, თურქეთიდან, ყაზახეთიდან.

საზგადასმელია, რომ ფესტივალი ფონდ „ქართუს“ მიერ რეაბილიტირებულ ოზურგეთის თეატრში პირველად გაიმართა და საფესტივალო დღეებში

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე, ასევე ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაზე შექმნილი 26 სპექტაკლი მაცურებელმა თეატრის სამივე – დიდ, მცირე და ექსპერიმენტულ სცენაზე იხილა.

წლევანდელი ფესტივალის სტუმრები იყვნენ თეატრებისა და ფესტივალების საერთაშორისო ასოციაციის ETA დამფუძნებლები და ბორდის წევრები. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ასოციაციის კონგრესი, რომელშიც მონაწილეობდა ოკუპირებული ხერსონის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი ოლექსანდრე კნიგა.

ტრადიციულად, 14 ივლისს, ნოდარ დუმბაძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ფესტივალის ფარგლებში ჩონატაურში წარმოდგენილი იქნა ჩონატაურის სახალხო თეატრის სპექტაკლი „ხაზარულა“ (რეჟისორი გოჩა ხვიჩია).

ანზორ პიროპიშვილის სოპრანო მიქაძე



ზუგდიდში, პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მეორე საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ ანზორ პიროპიშვილის სოპრანო მიქაძის მიძღვნილი კონცერტით გაიხსნა. გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა ნულუკიანი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წონჭერია, სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიორგი გუგუჩია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილეები – გიორგი გაბუნია და ელიზბარ ხაჩიძე, საპატიო სტუმარი – ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე, ქალბატონი ლალი სეთურიძე და რეგიონის სხვა წარმომადგენლები, – ამის შემდეგ ინფორმაციას კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მეგრული სიმღერის უბადლო შემსრულებლისა და გადამრჩენის, დიდი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მეორე საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ 2019 წელს, „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით დაარსდა.

ფესტივალის ფარგლებში ორი დღის განმავლობაში დედაქალაქისა და რეგიონების ქართული ფოლკლორული ანსამბლები მაცურებლის წინაშე მრავალფეროვანი რეპერტუარით წარდგნენ, გაიმართა ტრადიციულ რენვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა. ფესტივალი დასრულდება გალაკონცერტით, რომელიც ანაკლიაში, ძველი ციხის ტერიტორიაზე გაიმართება.

მესტიის ფესტივალი და პირველი პრიზი

მესტიაში საერთაშორისო ფილმების მეორე ფესტივალი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო კინოსწავლას მიაღწია, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან 22 ფილმი წარმოადგინეს. გამარჯვებულები სპეციალურმა ჟიურმა შეარჩია, საქართველოს პირველმა არხმა კი, კინოფესტივალის „ფიჩინგ ფორუმის“ საუკეთესო ქალი რეჟისორისთვის სპეციალური პრიზი, 5 000 ლარი დააწესა და ის ახალგაზრდა რეჟისორს, ნანა ძმინძინას გადაეცა.

ალსანი შნავია, რომ ფესტივალის ჟიურის რჩეული ფილმი „გუშაგები“ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამონაწილეობით შეიქმნა და პრემიერა ერთი თვის წინ საქართველოს პირველ არხზე შედგა.

„გვიხარია, რომ მეორედ ჩავატარეთ ფესტივალი. წელს ბევრად გრანდიოზულად გამოგვივიდა და იმედი მაქვს, უფრო განვითარდებით. კონკურსში წარმოდგენილი იყო 22 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ასევე, ყველაზე მთავარი არის ის, რომ ინდუსტრიული მიმართულებით ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ. გვეკონცხება ინდუსტრიული დღეები. მათ შორის, მასტერკლასები ჩაატარეს კანის კინოფესტივალის წარმომადგენლებმა“, – განაცხადა ფესტივალის დამფუძნებელმა მარიამ ხაჭავანძმა. როგორც საქართველოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა, თინათინ ბერძენიშვილმა განაცხადა, მაცურებელს შესაძლებლობა აქვს, ფესტივალზე ნომინირებული და გამარჯვებული ყველა ფილმი იხილოს საქართველოს პირველი არხის ეთერში.



კასობრიობის პროგრესი... ხილის ძველ ყუთში

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ დღევანდელი ციფრული სამყარო, თითქმის ნახევარი საუკუნის, უფრო ზუსტად კი, 45 წლის წინათ დაიწყო.

თანაც მისი „მამა-შემქმნელები“ არა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე და ცოდნის სიბრძნით დაძვინებული მსცოდინი აკადემიური მეცნიერები, არამედ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ახალი იდეებით გაძვინებული, უფრო კი ფულის შოვნის სურვილით შეპყრობილი, სტუდენტური ასაკის ყმაწვილები იყვნენ, რომლებმაც მოღვაწეობა არა გამართულ ლაბორატორიაში, არამედ ერთი ჩვეულებრივი ამერიკული სახლის ავტოფარეხში დაიწყეს. ეს ორი, თავისი ასაკისთვის საკვებით შესაფერისი, საკმაოდ უდარდელი ახალგაზრდა კაცი – სტივენ ჯობსი და სტივენ ვოზნიაკი, თანატოლებისგან არც ჭკუის დალაგებით, არც ცხოვრებისეული რაიმე ღირსშესაძენი წარმატებით არ გამოირჩეოდა. მაგრამ, როგორც ეს ცხოვრებაში ზოგჯერ ხდება ხოლმე, მოვლენათა განვითარებამ ცხადი გახადა, რომ ორთავენი გენიოსები ყოფილან.

მათგან ერთ-ერთი – სტივენ ვოზნიაკი, მეტად შრომისმოყვარე და ხელმარჯვე ჭაბუკი აღმოჩნდა, რომელიც ეგრეთ წოდებულ „ცისფერ კოლოფებს“ ამზადებდა. „ცისფერი კოლოფი“ – ეს ერთგვარი გაჯეტი, ანუ პორტატული მონოკომპიუტერი იყო, რომლის მეშვეობით ქუჩის ტელეფონიდან საქალაქთაშორისო ზარის განხორციელება... სხვისი ტელეფონიდან შეიძლებოდა. სისტემა ასე მოქმედებდა: ბაცაცა დამრეკავი



კედელში გამავალ სხვის სატელეფონო ხაზთან მიდიოდა, კოლოფს რთავდა და სხვა ქალაქში აბონენტს რამდენ ხანსაც უნდოდა, იმდენს ელაპარაკებოდა, ფულს კი სახლის რადიოტელეფონის სრულიად უდანაშაულო მეპატრონე იხდიდა. ამ „ცისფერი კოლოფების“ ეფექტიანობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც და პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ფართოდ იყენებდნენ გასული სა-

უკუნის არეულ 90-იან წლებში. მეორე სტივი კი, გვარად ჯობსი, ისტორიაში შევიდა, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი მალალი ტექნოლოგიების კომპანიის გენიალური შემქმნელი. მისი უმთავრესი ნიჭი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ახალი ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებაზე ფენომენალური ალლო ჰქონდა – სწორედ მან შეცვალა კაცთა მოდემის ცივილიზაცია – ჩვენს ყოფაში კომპიუტერები, აპაღები, აიფონები და ბევრი მსგავსი გაჯეტი შემოიტანა.

შორეულ 70-იან წლებში კი, მას შემდეგ, რაც ამ ორმა ახალგაზრდამ სათანადო დეტალები შეიძინა, უნიჭიერესმა სტივ ვოზნიაკმა პირველი ნორმალური პერსონალური კომპიუტერი შექმნა, რომელიც დაშლილი ძველი სეკრეტების ნაწილებისაგან შეკრულ კორპუსში და ხილის ყუთში მოათავსა, გენიოსა სტივ ჯობსმა ამ აგრეგატის გაყიდვის ორგანიზებას მოაბა თავი.

იმხანად, ტექნიკის ეს საოცრება 666 დოლარი და 66 ცენტი ღირდა. ცოტა ხნის წინათ კი, ამ სერიიდან ბოლო შემორჩენილი მუშა ეგზემპლარი, ამერიკულმა თანამედროვე ტექნიკის მუზეუმმა მილიონ დოლარად შეიძინა. თავიანთი საქვეყნოდ ცნობილი ფირმა Apple კი ორმა სტივმა – ჯობსმა და ვოზნიაკმა 1977 წლის იანვარში შექმნეს. ამდენად წლეულს მას 45 წელი შეუსრულდა.

მომამბადა ოთარ ტურაბალიძემ

ცნობილი მწერალი, სანამ მზე პეკალს გამოტყორცნიდა და ვერც ისევე ვერცხლისფერით დაწინწკლული ცა ქუდად გვეხურა, პირველი ჩემი მახარია დამხვდა. ასფალტზე მოგურგურე თავს ისე აკანტურებდა, თითქოს იქით-აქით ვიდაცებს ესალმებოდა, თან იკენკებოდა. ირგვლივ მიმოვიხედე, თვალთ მიმეწვივლე და ვუწყეებენა. იგი არც აწვართულ ნაძვებს შეფარებული ჩანდა და არც თავზე დამხობილ, ღამით დამძიმებულ ფიჭვის ტოტებში დავლანდე. უთუოდ კატამ მოხია, — უმალ ვიგუშანე, ცალკედად დარწმინდი ფრინველი შემებრალა. არადა, წინა დღით წყვილად იყვნენ. იმ ერთს ყელზე თითქოს თეთრი შარფი ჰქონდა შემოსხვეული, ტანზე ბუმბული შავად ემოსა, ფრთებზე, მხრებზე მოყვასფრო ფერი სჭარბობდა, გვეგონებოდა დიდოსტატ მხატვარს საგანგებოდ შეუფერადებიაო. არადა, ერთ დროს დიდი მისა ეკისრათ, ქვეყნიდან ქვეყანაში ბარათებს დაატარებდნენ.

ფიჭვ-ნაძვანის ხეივანი ქალაქის რჩეული უბნის შუაგამყოფად სიგრძედ გადაშლილ-გაწოლილა, ბილიკებს შორის კი პალმების აწვართული მწკრივი თავიანთი, ცად შემართული მართებულობით, ხანჯლებით ბასრი ფოთლებით და ქვეშ ხალხად დაფენილი მდლით. ირგვლივ ვარსკვლავებით კასკას ნათურების ციმციმი თითქოს ცის გუმბათს ექიმებოდა. ცისკარი დილის სექტაკლს დგამდა.

— ძლივს არ გამოიდრა. არადა, ძველებს რომ უთქვამთ, მარტი თუ წინ გიდევის, ზამთარს ნურც აქებ, ნურც აძაგებო, თოვლის ნამქერი-მა ლამის არ გადაგვთვალა. — ბნელში ზღაპრის დევივით შემობრუნდა ჩემი თანამოქალაქე, ბონგერა ვიორგი. რატომღაც შეტორტმანდა, წინ, ჩვეულებრივ, შავი, ცხვირ-პირ წამახული ფინია, ზედა-გამოჭრილი სახელით, პუტინა შემოცუნცუნდა.

— მხესაც რომ ვაუჩინა თავსამტვრევი მარტმა, ვერ შევლებივით დაგვანჯია თოვლის ნამქერი, მერე მზეც აწვეტდა და ღრუბელიც თავისას არ იშლიდა, ისევე მოახატებდა, იცოცხლეთ, მზეც ჯაფა დაადგა.

— კარგი კი იყო, გული მოვიოხეთ თოვლის სრამუნით, — გიომ განუყრელი ჯოხი მიაყუდა და აი, ბავშვობისას, სკოლაში რომ გვასწავლიდნენ ვარჯიშობანას... განმკლავი, ზემკლავი...

— პუტინა, სად დაიკარგე, შე მამაბალო, — გიომ ძალი გვერდით რომ ვერ იგულა, შეშფოთდა.

— ვის ვის და ძაღლს რომ უყვარს თავისუფლებს, იმტომაც ვერ იტანდა მისი უდიდებულესობა ალექსანდრე მაკედონელი, შენ კი დღე და ღამ სახლში გყავს გამოწყვედელი.

პუტინაც გამოჩნდა. ეტყობა, იქაურობა შეთარჯა. პუტინას ჯიშ-ჯილაგიათები, ათასნაირი ჯური-სანი აქ დღისით მრავლად არიან. ზოგი თოკით მოქყავთ... ვერ გაიგებ პატრონს გამოჰყავს ძალი თუ ძაღლს პატრონი.

— ცხოველთა შორის ძალი უპირველესი მგობარი როა, ხომ არ დაგავიწყდა?

— თუ ასეა, გადასარევი სახელი ჰქვია, ხომ სედავ რას უშვება პუტინი უკრაინას?... ძალიან უნდა ჯუღაბანთ ბიჭის გვირგვინი დაიდგას.

— არც შენი ზეღუნსკია ანკლოზი, მალე ახდებდა მოვლენებს ფარდა, არადა, მსოფლიო სცენაზე ისეთი საჯოჯოთხეთი სექტაკლი იდგმება, თვით გენიალურ შექსირნაც კი უშურდებოდა.

— დანტუსაც, დანტე ალიგიერისაც. — შევაწიე უმაღ. — ისე კი, ერეკლეს ჯიშმა გადაგვარჩინა, თორემ უკრაინა მონაგონი იქნებოდა.

— ეს განთიადი, ბუნების ერთი სასწაული დილა, ღმერთმა რომ გვიბოძა, მდი, ნუ მოვიშნამავთ... — გამაფრთხილა გიომ, ჩამოხვალა და ხელები მაღლა აიშვირა.

რომ იტყვიან ენა ხელს არ გვიშლიდა, ვაზაფხულია, საამო პაერი გველაშუენებოდა, მხრებზე მსუბუქად გვაწვა მარადისობა.

— ასეა, ცხონებულმა გერა ბაბუამ მასწავლა — ყოველი ახალი დილა ღვთის საჩუქარია, სულის მეოხეთ მიიღეთ. ისე კი, თუ მამულიშვილი ხარ, აქედანვე უნდა იზრუნო ქვეყნის ბედზე...

— კი ბატონო, სადაც ვსობილვარ, გავწრდილვარ... — წაუღიინა. თავის დროზე ნეტარ ანზორ ერქომაიშვილს რომ შეყროდა, გინაშვილს დაუყენებდა გვერდით.

— პუტინა, პუტინა, — ძალი სიბნელეში გაუჩინარდა. ეტყობა, ხის ტოტებში მითვლემილ ჩხიკვს ძილი დაგუფრთხეთ და ვიორგის გამოაჯავრა „პუტინა, პუტინა.“

ხეივანში ციციანთალებად მიმოხეული ნათურები ისევ ციმციმებდნენ ბინდებულში. ნიავეც ლაღობდა, ცაცხვებს ნახად ელაშუენებოდა და არც ჩვენ გვაკლებდა აღურს. ყვავილების ხეივანი მწვანედ ხასხასებდა. ფერად-ფერადი ვარდებიანი ბუჩქებიც თავს იწონებდნენ თითქოს.

— აი დედასა, ამ დროს ქარხანაში წასასვლელად ვემზადებოდი, ეპ, რა მუხანათიაა ტრო. ისე ვავგანარება, რომ ვერ გაიგებ. არადა, ვითომ დაგლოცავენ, ტიპილად დამიბრდილი, სიბერე და სიტუბო?

— ეპ, მაშინ სხვა დრო იყო, გვეტონდა ერთი პარტია, ახლა პარტიების ცვეხაა, დედამწის ზურგზე ვერ მოძებნი ქვეყანას, ამდენი პარტია რომ თავზე ეყაროს...

— კი, ერთკაციანები, ოღონდაც ენაჭარტალები, ამადაც მოშურნიც მოგვიმრავლდნენ.

— დროის ფასი მაინც ხომ ვერ ვაგვივით. ლამის საუკუნეს მოვივლილი და... — ვიორგი სხეულის გაკაფებას შეეშვა და იქვე, უშველვებელ ფიჭვის ხორკლიან ტანს ჩაეხუტა.

— ხეო, მიწილადა შენი ენერგია, — თითქოს წაუძღვრა, — ხეო

მიწილადავე... — ვე მზეს უნდა შესხოვო. მზეს სულ სხვა მაგიური ძალა აქვს. თანაც თავს ვახურია მუქლურჯი მურუც-ვარსკვლავებიანი მონიოული მშობლიური ცა.

— ახლა ლექსის წერა არ დამიწყო. — შევთხოვე ექსტაზში შესულს. არადა, ადრინამა დილა იცის სულის შეფრენა პოეტურად. ვაიღვივით ქართველები, მარტონი ხართ, არადა, მტრები ვახვევით, შინაურ-გარეული-მეთქი, ეს გულში ვოქვი რატომღაც.

— მისი უდიდებულესობა როცა ამობრძანდება, იმასაც შევთხოვე, დამამაღლის თუ რა. ისე, მზეს ვერ ჩაეხუტები. ყველას მუნა სჯობია, ასე მასწავლეს ბავშვობიდან.

სადაცაა, მზე აღმოსავლეთის კიდურს შეენთება, ააღლებს, ვარსკვლავებს გადაკარგავს. დილა აღმოსავლეთიდან მონაქროლ ნიავეს რომინით მოყვება, ღამე თითქოს ღვვება. ირგვლივ ყოველივე შუქით იგსება და ნელა განქარდა კიდევაც.

— ჩვენმა თაობამ იცოდა სიცოცხლის ფასი. აქ ხომ უდაბნო იყო. ვერაფე აღამაჰმად ხანის მიერ აოხრებული, პირისხაგან მიწისა აღგვი

ცაღოულელი



ცნობილ
მწერალსა და
შპრნალისტს
გივი ჯახუას
გულწრფელად
გულმცხრომ
90 წლის
იუბილუმს!
მხნამ,
ბერძენსა!

(ბერიკეტი)

ლი, ციხე-გოჯის ამარად შეიხილი, უდაბნოდ ქცეული ნაქალაქარი. ინდუსტრიული ქალაქი რომ ავაშენებ — ვანა დღეს ვინმეს ახსოვს. მერედა, ვინ გადაწყვიტა მისი ბედი, უმადურობა ცოდვის ბუდეა. — ამასობაში მზე ისე გაბრწყინდა, ფიქრებმა მაღლა ამიტაცეს.

— რატომაც არა, ჩემო გიომ, იციან, აი, დაფასება სულ სხვა ხილია... დღევანდელი მსოფლიოც სულ სხვაა, რა ამბები ხდება დედამიწაზე, თითქოს არაფერი...

— ნუღარ იტყვი, დილას ნუ მოვიწამლათ, ჩვენ ჩვენი აფხაზეთი და სამაჩაბლო გვეყოფა...

— ფრ, ფრ, — ღამეულ მყდრობებს ფრთების ფართოალი არღვევს, მტრელები ვუნდ-გუნდად ჩამოვგომანდებიან, მათ შორის თეთრბიც, მშვედობის მტრელებს რომ ეძახდნენ და ფოსტის დამტარებლად რომ ითვლებოდნენ. იმათი ნაშეივები ჩემს მარტონელას ვარს შემოერთებებიან, აქიოდა, მენახევრის დაკარგვას ვუსამძიმებოთ.

ცის კიდურს შავი ღრუბლების ტყე ახლავდებოდა პატარბალივით მორცხვად გაიღვივებს და ვაერევა ვარსკვლავით. ბინდიც იტოტება, ნიავეც აწქარდა, თითქოს ქარის წინამძღოლია. წიწვებს სურნელს წარსტაცებს, ჩვენც მოგველაშუენება.

— ლომებს ვაუმარჯოს! თქვენ არც კი იცით, რა მაგრები ხართ, ვიორგო, მაგრები ხართ. მაგრები!

აიღლუჯის დამლაშქრაგი, არცთუ შორს, დავით ვარჯვის ნააღურსევი, აფხაზეთში ნაომარი, ქრილობებით სხეულდასერილი მამულიშვილი მაღაზნი — ყოთი გვესალმება იდლიაში თავისი განუყრელი ჯოხით. შემოჯგრი-აღდება და იქაურობას ააფორიაქებს.

— ფრთხილად ვიორგი, ეგ ფიჭვის ხე არ წააქციო. — უმალ გიოს წაქედილაკება.

— ბიჭო, შენ მაინც არ იშლი შენსას? რა ჯიშისა ხარ ეგეთი?

— დიდი მეფე დიმიტრი თავდადებულის სენიათ, თითქოს ვერ იყავი კარვად? — ახლა მე მომიბრუნდა. — შენ და ცუდად ყოფნა?..

ბრდღვილაა მზე თითქოს ვულკანი ამოფრქვითო, ერთიანად ააღლა აღმოსავლეთი. დამფრთხალმა ვარსკვლავებმა კუდი ამოიძუეს. არადა, ეს უშველვებელი თქრობური ვარგარა სხევებით, წიწვებს შემორჩენილ ცვარ-ნამში მარგალიტებად ჩაიღვარა. უსასრულო სივრცეში ატყორცნილი კიდევ ერთი დღე ნათლად გაბრწყინდა.

— ყვა, ყვა, ყვა. — უბერებელმა ფრინველმა დაგვჩხავლა და მტრეთა

საკრებულოდან მოშორებით დაეშვა, აქიოდა, აქ მე ვარ უფროსიო. ალბათ ამან განაწყნა ბუტინა, ვერევე მოსხლტა და შეუტია. იცოცხლე, ყვავებმა აიკრთეს ფრთები, მაგრამ შორს არ წასულან, იქვე ცად აწვილი, მართლაც შესაშური ტანკენარა ნაძვის კენწკროში შემოსკუძდნენ. არადა, მაფშალია-ბუღბული მიმნატრებია უზომოდ.

ღრუბელს გამოპარულმა სიომ იმძლავრა, სუსხიც მოიყოლა, მაგრამ ჩვენ, სხეულანწროთ, გაკაფებულებს რას დაგვავლებდა. მზეც მხარში დაგვიდგა, სხივებს თანდათან ცვეხლს უკიდებდა და სამყაროსაც აიყრობდა ჩვეული ვლავრებით. ნაღამური ღამზინ-ციციანთალები კი ერთბაშად გაიკრიფნენ.

ამასობაში ჩვენი განუყრელი მეგობარი ბეღურეც მოვარდნენ. არადა, ვაკვივრდა მათი არყოფნა, ისინი ხომ არასდროს ვგმორდებიან, ზამთარ-ზაფხულ ჩვენთან არიან.

— ნეტაც, მერცხლები რად არ ჩანან? — ბეღურებს მხერა აარიდა გიომ. ნათქვამია, ძალი ახსნეთ და ისინიც ანაზღად უკვე ლურჯად შეფერილ ცაზე წყება-წყებად გაქრიალდნენ.

— ვერე ავიხდეს ყველა ნატრა. — ვუთხარი გიოს და ცისკენ ავანდეათასობით კლომეტრგამოვლილ, გულთეთრა კუდრაჭების გუნდს მიწიწვებით მივსვლამეთ. არწივებით მშვიდობიანი ცის კაბადონხ კრავდნენ კამარას.

— მერცხლები ნეტარსხენებულ შარტავას მაგონებენ, ისიც მათსავით მოფრინდა.

— ჰოდა, არწივებით ვადაიქროლა.

— ბაბუ, რად არ გამაღვიძე? — შორიდან შეუქჩინა გიოს მის შვილითაშვილითაგან ერთმა ბოკვერმა.

— აკი შემპირდი, წამოვიყვანო... — მომიბრუნდა გიომ.

— ჩემო დიმიკო, ჩვენ ახლა შევდივართ სულ სხვა, ახალ-ახალ საოცრებოთა სამყაროში, მისი ხილვა უფალმა გვიბოძა, არ უნდა დავმოთო. ჰოდა, კარგს ვაკეთებთ ცისკრის ალში რომ ვცურავთ. წინ თუ არ წავალთ დაგვეცემითო, თვით ცხთვრებამ გვასწავლა ეს სიბრძნე.

გიომ წელში მოხარა. ვრეელი, დაქუნთული მელავეები გამაღა, საითიოდ ყველას ჩაეხუტა, ბილოს თქროსთიან გოგონასაც მისწვდა და ჩაბღუჯა.

— ისე ტუბილად გუძინათ, ბაბუებო... — თავი იმართლა გიომ. ღრმად ამოსუნთქა და თქვა: — ახლა კი მზეც ავასწროთ: ხეივანს ყველა მხრიდან რომ მოეფინება და ტუბილსურნელოვანი პაერით აავსებს იქაურობას, ამასობაში ხეივანში სხვადასხვა მხრიდან გამოწყრიალდებიან ქალბატონები, დედები... ტანკენარობით, სხეულის სილადით, მშვენიერი და უშნაინი დედაკაცები, მამაკაცთა გულთამყრობელები, მათ შორის ერთ-ერთი მათგანის ტყვე მეც ვახლდით, მაგრამ... დიასახლისები საოჯახო საქმეებს რომ მოიღვევენ, მათაც უყვართ აქ, მოხასხასე სიმწვანეში სულის მოთქმა და ვალაღება.

სხივი თითქოს ყველაზე სწრაფია, მაგრამ ოცნებას, ფიქრებს, სულის შფოთვას იგი წააშვე უსწრაფესად წარსულში, აწმყოში და მომავალში გაჯირითეებას ფრიად რომ ჯახნის, ოცნება წააშვე უსწრაფესად გაიქროლებს სავარსკვლავით, მის მიღმაც ვაიღავებს. თვალთ მიუწვდენელ პლანეტებს ელვად გადაუქროლებს. ოცნებით კი ელვისებურ შეიჭრება შორეულ წარსულში, დიდი დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის წინაშე მორძალებით მუხლს მოიყრის. შოთა რუსთაველის უკვდავი სტრიქონების გაღვებებს სუნთქვად აედევნება. აი, ვალაკტიონთან ხომ...

ჰო, ჰო, ჰეი, — ისე ცას მიჩერებულმა გიომ თითქოს ამოიხენწეშათ, — რა იქნებოდა ეს სამყარო, ეს მზე, ვარსკვლავები და ეს ყველაფერი ღმერთს ჩვენ რომ არ გავეჩინეთ.

ღამე უკვე ვალღვა თითქოს, ფარდა ჩამოშალა და მორიგ სექტაკლს დგამს.


მტრელები კი, ვითომც არაფერი, ლადად დაფარფატებენ, ზოგი ყავისფერ ბუმბულშემოსილი, კისერზე თეთრი შარფით. ფერები ბუნებას მათთვის არ დაუშურებია. აი, კატას თუ დანახავენ, მაღლა აფრინდებიან. არადა, როგორ მინდა ჩემი მაფშალია-ბუღბულის ტუბილი ხმით დატუბობა, იპ...

იქვე ახლოს, ვალაგანშემოვლებულ საყდარში აგუგუნებულმა ზარმა მოელ ქალაქს გადაუარა. უნებლიეთ ცის ხასხასა გუმბათს ავგდევ ეპკევი, ჩემს უკან ხმალშემართული ვარსკვლავებით ლამის საუკუნოვანი წლებია. თუქცა, არც ამ მტრელებით უმანკონ...

გიომ პირვარია გადაიწერა, მეც ავეყვი, შვილითაშვილებმაც მოგვაბეს.

— აბა, წავედით, სანთლები ავანთით, უფალს შევთხოვთ ჩვენი მამულის, ერის და ჩვენი შვილების ბედნიერება. ვემთხებით უწმინდესსა და უნეტარესს.

— ერის სიმრავლე, — მხარი ავუბი გიოს. — დღეს, ყველაზე მეტად, ჯიშ-გუნის ვადარჩინაზე უნდა ვიფიქროთ. ჰოდა, დავლოცოთ ქართველი დედები.



ტაძრის ზარებმა სხვადასხვა ხმაზე გუგუნ-წკრიალით ავგობეს მხარი. მათ კი გუნდ-გუნდად აფრთხილავებული მტრელების ვერგურეც შეერწყა, მათთან ჩემი მარტონელა მტრედიც ვერცხლიწყალივით განიბანა დილის შუქში.

გივი ჯახუა

ტაბაგა

ეთარის პერსული

ზაბრამის გრან პრის პირველ საშეჯიბრო დღეს ტაბაგაზე სამი ქართველი ძიუდოისტი გავიდა და ორმა მათგანმა მედალი მოიპოვა. მთავარი ლიპარტიანი ნინო ვერცხლს, სოლო გიორგი სარდალაშვილი ბრინჯაოს დაეფულა.

57 კგ წონით კატეგორიაში ეთერ ლიპარტიელიანმა ბრიტანელი ასელია ტოპრაკი და შვეიცარიელი ოლივია გერტში დაამარცხა, სოლო მეოთხედფინალში ხორვატ ტიპეა ტოპოლოვეჩს აჯობა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც კუბელ არნაეს ოდელინ გარსიასთანაც იმარჯვა და ფინალში იასპარეზა. იქ მისი მეტოქე კანადელი კრისტა დეგუჩი იყო, რომელთანაც იპონით წააგო.

60 კგ წონით კატეგორიაში გიორგიმ ჯერ ტაჯიკი მუჰამადსოლე ქუვატოვი დაამარცხა, მერე ბრაზილიელ მათეუს ტაკაკისაც აჯობა, მაგრამ მეოთხედფინალში ფრანგ მაქსიმ მერლინთან წააგო და რეპეშაჟში გადაინაცვლა.

სადაც ტაჯიკი ჰაკბერდი ჯუმაიევი დაამარცხა. ბრინჯაოს მედალისთვის სარდალაშვილი ესპანელ ფრანსისკო გარიგოსს შეხვდა, რომელსაც იპონით აჯობა და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

66 კგ წონით კატეგორიაში პირველივე წრეში დაამარცხა ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ვაჟა მარგველაშვილი, რომელიც სერბ სტრაჰინია ბუნჩიჩთან ვერაფერს გახდა და შესაბამისად, უმედლოდ დარჩა.




კონტრასტი

ქართული რეალობა

ორი ბოლი და ერთი შედეგიანი გადაცემა – ასეთი მშვენიერი დებიუტი ჰქონდა „ნაპოლიში“ სპინა კვარაცხელიას.

მართალია, მეტოქე სამოყვარულო გუნდი იყო, მაგრამ ჩვენი თანამემამულის ლირსეული პირველი შეხვედრა ამბიციურ იტალიურ კლუბში მაინც აღსანიშნავ ფაქტად მიგვაჩნია.

ამ ფონზე ძნელია დაკმაყოფილდე კონფერენსლიგაში ჩამოთვლილი ქართული ტრიოს ხვედრით, რადგან მეორე ეტაპზე მხოლოდ „საბურთალო“ გააღწია. ლაშა ნოზაძის შეგირდებს ირაკლი სინარულიძემ უშველა, რომელმაც თბილისური 0:1 გაქ-



ვითა და პარტნიორები გამარჯვებით დასრულებულ პენალტების სერიამდე მიიყვანა. წინაა ბრძოლა „სტიაუსთან“.

სამწუხაროდ, ტურნირს გამოეთიშნენ თბილისის „დინამო“ (2:3 და 2:1, პენალტებით – 4:5 „პაიდესთან“) და გორის „დილა“ – (0:2 და 0:0 „კუპსთან“).

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგიდან ჩამოლაბორანტებული „ბათუმი“ „ლესხ“ შეხვედრა.

ღვაწლი

კასი, როგორც აკლია ქალაქს

ვალეებიდანაც ერთი თვის წინათ 10 წელი შესრულდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მტკიცეული თარიღი არავის გახსენებია.

„მას აქვს დიდი დამსახურება ჩვენი ერისა და ქვეყნის წინაშე, ბევრი გააკეთა ხალხისთვის და ეკლესიისათვის. აი, ეს დიდებული ტაძარი არის აშენებული მის მიერ და ვერაფერს სხვა ვერ გააკეთებდა ამას“, – ბრძანა სამაგალითო მამულიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის გადახდის შემდეგ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, რომელიც რელიგიურ-პუბლიცისტურ გაზეთ „ტაძარში“ დაიბეჭდა.

ფართო დიაპაზონის, ამოუწურავი შესაძლებლობებით დაჯილდოებული მოღვაწის დამსახურებათა ჩამონათვაღს ჩვენი თემატური გვერდი ვერ დაიტევს, ამიტომ ამჯერად ბატონი ირაკლის თანადგომით განხორციელებულ ერთ სპორტულ ჩანაფიქრზე გავამახვილებ მკითხველთა ყურადღებას.

საუბარია დამზობილებული ქალაქების – თბილისისა და ინსბრუკის ტაბუჯ ფალავანთა დელეგაციების ორმხრივ ვიზიტზე, რომლებიც საქართველოსა და ავსტრიის ალპური მხარის – ტიროლის სპორტულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა.

არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ არა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარის ირაკლი ანდრიაძის ძალისხმევით, ჩვენი გუნდი საერთოდ ვერ გამგზავრებულიყო კაპიტალისტურ დასავლეთში.

სხვათა შორის, მეგობრებთან სტუმრობაში ლირსეული წვლილი შეიტანეს სპორტისა და ტურიზმის

საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა, ლეგენდარულმა ლევან თედიაშვილმა და ასევე ხალიჩის დიდოსტატმა, ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების კომპლექსური სპორტული სკოლის თავკაცმა, კლასიკურ ჭიდაობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ელდარ ფარაჯანაძემ, რომელმაც ესტაფეტა სწორუბოვარი გივი კარტოზიასგან გადაიბარა.



ავთანდილ კოკია (მარცხნიდან მეორე) და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე (მარცხნიდან მესამე) საქმიან შეხვედრაზე ბერლინში.

რაც შეეხება იმავე 1989 წლის გვიან შემოდგომაზე მაღლიან ქართულ მიწაზე გავლილ საპასუხო სასწავლო-სწავრთნელ შეკრებასა და კვლავაც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულებულ სპარინგებს, იგი ტრადიციული კახური მესამე ტაიმიტ დაგვირგვინდა (სილნალი, ვაქირი, ველისციხე). ავსტრიელები დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სამშობლოში, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ისინი განსაკუთრებით ალაფრთოვანა დასკვნითი აკორდის ავტორმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, დიდი ლერი ხაბელოვის აღმზრდელმა ვანო ნიკოლაძემ...

როგორც იქნა

ყველაფერი გადაწყდა

როგორც ლევანდოვსკის საგადასრულდა – პოლონელი „ბარსელონაში“ ითამაშებს! ფაბრიციო რომანოზი და ჯანლუკა დი მარციომ ინფორმაცია დაადასტურეს. „ბაიერნს“ დღეს სენზონისწინა პრეზენტაცია აქვს, რომელსაც ლევანდოვსკი არ დაესწრება.

გერმანული და ესპანური კლუბები ყველა დეტალზე მობოლოდ შეთანხმდნენ და მიუნხენელები 50 მილიონ ევროს პლუს ბონუსებს მიიღებენ. თავის მხრივ, პოლონელი „ბარსასთან“ პირად კონტრაქტზე ჯერ კიდევ თებერვალში იყო შეთანხმებული. ამრიგად, როგორცმაც სანადელს მაინც მიაღწია და ესპანურ გრანდში ითამაშებს.

34 წლის ფორვარდს „ბაიერნთან“ კონტრაქტი გაისად ეწურებოდა, რომლის განახლებაზე უარი თქვა, რადგან კლუბის დატოვება და ესპანეთში გადასვლა სურდა. როგორც ლევანდოვსკი „ბაიერნმა“ 2014 წელს „დორტმუნდიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატა და მას შემდეგ 375 მატჩში 344 გოლი გაიტანა. პოლონელს „დორტმუნდსა“ და პოზნანის „ლეხში“ აქვს ნათამაშები.



კორტზე

ტორონტოში ითამაშებს

სირენა უილიამსი აგვისტოში ტორონტოს ტურნირზე ითამაშებს. ამის შესახებ ტურნირის ორგანიზატორებმა განაცხადეს. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანმა ორი კვირის წინათ უიმბლდონზე ითამაშა, მაგრამ ერთწლიანი პაუზის შემდეგ კონდიციებში არ იყო და დიდი სღემის ტურნირს ზედიზედ მეორედ, პირველივე წრეში გამოეთიშა.

ტორონტოს ღია პირველობა, რომელიც უილიამსს სამჯერ აქვს მოგებული, 6-15 აგვისტოს ჩატარდება. სერენა ძირითად ბადეში ითამაშებს. ბოლოს იქ მან 2019 წელს იასპარეზა და ფინალს მიაღწია. როგორც ჩანს, მისი მიზანი აშშ-ის ღია პირველობაზე გამოსვლაა და ამისთვის მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

ტორონტოში 2019 წლის ფინალში, ის კანადელ ბიანკა ანდრეესკუს შეხვდა. მეოთხე გე-



იმში ანდრეესკუმ ბრეიკს მიაღწია, სერენა კი თავისი სკამისკენ თვალცრემლიანი გაეშურა – მას წელის სპაზმები ჰქონდა, რამაც თამაშიდან გასვლა აიძულა.

ორგანიზატორთა განცხადებით, ტურნირის განაცხადში, WTA-ის რეიტინგის ტოპ 43-დან 41 როგბურთელია, მათ შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი, პოლონელი იგა სვიატეკი, დიდი სღემის ოთხი ტიტულის მფლობელი, იაპონელი ნაომი ოსაკა და აშშ-ის ღია პირველობის ბრიტანელი ჩემპიონი ემა რადუკანუ.

სანთელი



მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან დიდი დანაკლისი

ქართულმა სამეცნიერო და სახელოვნებო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატორი, მთარგმნელი, მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, პროფესორი ბასტონ ბუაჩიძე.

ბატონი გასტონი დაიბადა თბილისში 1935 წლის 21 ოქტომბერს. მან დაამთავრა ლეოვანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის განყოფილება და მთელი შემდგომი შემოქმედებითი და აკადემიური მოღვაწეობა 1991 წლამდე დაკავშირებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, 30 წელზე მეტსანს იგი გახლდათ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, ხოლო 1981-1990 წლებში — ამ კათედრის გამგე. 1991 წლიდან იგი მოღვაწეობდა განაგრძობს საფრანგეთში და 1991-2001 წლებში არის ნანტის უნივერსიტეტის პროფესორი. დაცული აქვს ორი სადოქტორო დისერტაცია შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში — ერთი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მეორე — პარიზის სორბონის უნივერსიტეტში.

გასტონ ბუაჩიძემ დიდი სამსახური გაუწია ქართული მწიგნობრული კულტურის ღრმად ნარმოდგენასა და გაცნობიერებას ევროპულ კულტურულ-ინტელექტუალურ კონტექსტში; იგი ავტორია არაერთი პირველხარისხის სამეცნიერო ნაშრომისა, წიგნისა და სხვა პუბლიკაციისა. მან ფრანგულად თარგმნა და გამოსცა ქართული მწერლობის ძველი და ახალი პერიოდის არაერთი თვალსაჩინო მონაპოვარი, ნათელი მოჭინა ბევრ მნიშვნელოვან ლიტერატურათმცოდნეობით საკითხს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მამულიშვილური და სამეცნიერო მოღვაწეობის გათვალისწინებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2010 წელს აირჩია ის თავის უცხოელ წევრად.

ბატონ გასტონ ბუაჩიძეს არყოფნა დიდად დააკლდება ევროპის ქართველოლოგიურ სივრცეს.

დიდი გულსტივილით ვუსამძიმრებთ ბატონი გასტონის გარდაცვალებას მის ოჯახს, კოლეგებს, მთელ ქართველ საზოგადოებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

ნაძალადევე ზესტაფონის ქუჩის სამეზობლო ღრმა მწუხარებით უთანაგრძნობს ფიქრია და მზია ლომიძეების ოჯახებს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

სარო ლომიძის

გარდაცვალების გამო. სამძიმარს უცხადებენ სანათესაოსა და ახლობლებს.

საძარტველოში 54 ათასამდე რეგისტრირებული ავტობუსის და მიკროავტობუსიდან ტექნიკის სექტორმა მხოლოდ 15%-ს აქვს გავლილი. ასეთი კატასტროფული მაჩვენებელი კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა, როდესაც საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ზაფხულის სეზონზე კიდევ უფრო დიტივირთა. რატომ არ კონტროლდება ეს სექტორი? როგორ ახერხებენ გაუმართავი ავტომობილები გადაადგილებას ისე, რომ შესაბამისი სამსახურები ამას ვერ (არ) ამჩნევენ.

ისიც ცნობილია, რომ საქალაქთაშორისო ტრანსპორტის 85% არ ცხადდება ტექნიკური რეგულაციების და ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტით ხდება მგზავრთა გადაყვანა.

როგორც ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევისას აღმოჩნდა, რომ მგზავრთა გადაყვანა რეგიონების მიმართულებით უმეტესად ხდება ამორტიზებული მიკროავტობუსებით, რომელთაგან ზოგი სამგზავროდ გადაკეთებული სატვირთოა. როგორც მესხიშვილი ვარაუდობს, ეს ის კატეგორიაა, რომელიც ტექნიკურ შემოწმებას თავს არიდებს, ვინაიდან სტანდარტს მიმალურ დონეზეც ვერ აკმაყოფილებს.

„დიდუბის ავტოსადგურის“ ხელმძღვანელი ნესტორ შიშკაძემ „კომერსანტთან“ ამბობს, რომ საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანის სისტემის მონესრიგებას უკვე წლებია ითხოვენ. მთავარი პრობლემა

საქალაქთაშორისო ტრანსპორტი კატასტროფულ მდგომარეობაშია?



არალეგალურ ტრანსპორტში ე.წ. ხიშნიკებშია და ტექნიკური რეგულაციების სწორედ მათ არ უტარდება.

„ავტოსადგურებზე რეგისტრირებული ტრანსპორტი ტექნიკური რეგულაციების გარეშე, პრობლემა ე.წ. ხიშნიკებშია, რომლებიც არალეგალურად მუშაობენ და ყოველგვარ გადასახადებს თავს არიდებენ. გახსნილია უკანონო სადგურები და ამას არაფერ აკონტროლებს, შესაბამისად ისინი არც თვლიან თავს ვალდებული ტექნიკური რეგულაციების გაიარონ ან მგზავრების უსაფრთხოებაზე იზრუნონ. არც მძღოლებს აქვთ შესაბამისი მოწმობა, არც ტრანსპორტი ტექნიკურად გამართული, სრული უკონტროლობაა სისტემაში. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო წლებია მუშაობს რეგულირების კანონზე, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია მიღებული.“

არსებობს ტექნიკური რეგულაციები ავტოსადგურის მონყობისა და ფუნქციონალური წესის შესახებ, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ადგილი, საიდანაც გადის საქალაქთაშორისო ტრანსპორტი, ამასთანავე, არსებობს მთავრობის დადგენილება მგზავრის გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის შესახებ, სწორედ ეს უნდა აკმაყოფილოს ყველამ და ამის კონტროლი არ ხდება სააგენტოს მიერ, — ამბობს მიქაბაძე.

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში ჯამში 24 საქალაქთაშორისო ავტოსადგურია, აქედან პირველი კლასის ავტოსადგური მხოლოდ სამია — შპს „ოკრიბა“, სს „თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი“ და შპს „ლილო ჩარტერი“. მეორე კლასისაა 6 ავტოსადგური, ხოლო მესამე კლასის — 15.

ინფო თბილისში



სოსო გოგაშვილი ბაშვილის ფარგლებში დასაქმდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ადასტურებენ ინფორმაციას უწყების უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის დაკავების შესახებ. როგორც სუს-ში განგვიმარტეს, დაკავება მოხდა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მონაშრომლის განჩინების საფუძველზე.

სუს-ის პრესსამსახურის განცხადებით, გოგაშვილის სახლში ჩხრეკა მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარდა და აღუცილებელი გახდა მისი დაკავება. სხვა დეტალებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არ საუბრობენ. ასევე, უცნობია, რას ედავებოდა სუს-ის უფროსის ყოფილ მოადგილეს და რა მუხ-



ლით მიმდინარეობს გამოძიება. გავრცელებული ინფორმაციით, სოსო გოგაშვილის საცხოვრებელ სახლში სპეცოპერაცია გვიან ღამით ჩატარდა. 16 ივლისიდან კი მის სახლებში ჩხრეკა მიმდინარეობდა.

უილი მამას ამხელს

სოსო გოგაშვილის შვილი, ნიკა გოგაშვილი ამბობს, რომ დიპლომატიურ კორპუსს



აქვს ყველა ის მასალა, რის გასაჯაროებაც სუს-ის ყოფილი უფროსის მოადგილე აპირებდა.

„დიპლომატიურ კორპუსს აქვს ყველაფერი თავიდან ბოლომდე, რასაც სოსო აანონსებდა, ევროკავშირისა და ამერიკისა. დღეს ტელეფონები, წაიღეს პლანშეტები, ელექტრომონყობილობები, ვინჩესტერებს ეძებდნენ და რაღაც ქალაქადგეს. კამერებს აზიანებდნენ გარეთ, რატომ არ ვიცი“, — თქვა ნიკა გოგაშვილმა.

სოსო გოგაშვილის დაკავების შემდეგ, ჩხრეკა ჩატარდა გონიოში, გოგაშვილის შვილის, ნინო გოგაშვილის სახლში. ასევე, თბილისში, ცაგარელის ქუჩაზე მდებარე ბინაში, სადაც მისი მეორე შვილი ნიკა გოგაშვილი ცხოვრობს. პოლიციამ განჩინება გოგაშვილის მძღოლის სახლიც, ასევე სასტუმრო სიღნაღში.

ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მობილური ტელეფონები, კომპიუტერები, მესიერების ბარათები და სხვა ელექტრონული მონყობილობები ამოიღეს.

ბუნებრივი აირის მოპოვების საფუძოვები 2023 წლიდან დაიწყება

2023 წლიდან საქართველოში ბუნებრივი აირის მოპოვების საფუძოვები დაიწყება. რუსთავეთან აღმოჩენილი მარაგი 16 მილიარდი კუბური მეტრია. არ არის გამორიცხული, საქართველოში გაზის მარაგი გაცილებით მეტი იყოს. სამუშაოებს ბრიტანული „ბლოკ ენერჯი“ ანარმობს. ამ აღმოჩენამ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

ყოველგვარი რეკლამა გაზის პერიოდით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

როელი ქვეყნის ვიზიტორები ხარჯავენ საქართველოში ყველაზე მეტს?

2022 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში 1.43 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორიდან 1.14 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო, ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკი ავრცელებს.

ქვეყნების მიხედვით ტურისტული შემოსავალით, პირველ ადგილზე რუსეთია, 247 149 ვიზიტორმა საქართველოში 219 მილიონი დოლარი დახარჯა, მეორე ადგილზე ბელარუსი ტურისტები არიან, რომლებმაც 123 მილიონი დოლარი დახარჯეს. თუმცა განსხვავებულია ქვეყნების ჩამონათვალი ერთ ვიზიტორზე საშუალო დანახარჯის მიხედვით, აქ ბელარუსი ტურისტები ლიდორებენ 2922 დოლარით, ხოლო მეორე

ადგილზე უკრაინიდან შემოსული ვიზიტორები არიან, რომელთა საშუალო დანახარჯმა ერთ ადამიანზე 1523 დოლარი შეადგინა.

დანახარჯები TOP 10 ქვეყნის მიხედვით ასეთია:

1. რუსეთი — \$219 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$885;
2. ბელარუსი — \$123 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$2,922;
3. ევროკავშირი — \$121 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$1,240
4. თურქეთი — \$109 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$415;
5. უკრაინა — \$108 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$1,523;
6. ისრაელი — \$105 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$1,237;
7. სომხეთი — \$43 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$215;
8. აზერბაიჯანი — \$39 მილი-



ონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$592;

9. საუდის არაბეთი — \$38 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$1,277;
10. ირანი — \$31 მილიონი, ერთი ვიზიტორის საშუალო დანახარჯი \$838.



ყველაფერი ვაჟა-ფშაველას შესახებ მულტიმედიურ გამოფენაზე

ვაჟა-ფშაველას შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ონლაინგამოფენა მულტიმედიურ ფორმატში მოამზადა. ონლაინგამოფენა ეროვნულ არქივში დაცულ მრავალფეროვან მასალას მოიცავს — მისი დაბადების ჩანაწერს, ავტოგრაფულ ხელნაწერებს, ფოტოებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მის მოღვაწეობას, აუდიოინტერვიუს, 100 წლის საიუბილეოდ 1961 წელს შექმნილ კინოსიუჟეტს, წიგნებსა და სხვა საარქივო მასალას.

მწერალი, პუბლიცისტი, დრამატურგი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) თავის დაბადების თარიღად 1862 წლის 15 მაისს მიიჩნევდა, ამის მიუხედავად, დღემდე მის ბიოგრაფიაში დამკვიდრებული თარიღი 1861 წლის 14 ივლისია (ძველი სტილით).

აბასთუმნის სიხლენი

აბასთუმნის ობსერვატორიის შენობის წარმატებით დასრულებული რეაბილიტაციის შემდეგ, ვინცებთ ობსერვატორიის მთავარი გუმბათისა და მთავარი ტელესკოპის დამზადების პროცესს. უკვე დასრულდა პროცედურები და შეიქმნა საუკეთესო ევროპული კომპანია, რომელიც აბასთუმნის ობსერვატორიისთვის დაამზადებს ახალ, თანამედროვე ტელესკოპს და ასევე, იზრუნებს ახალი გუმბათის დამზადებაზე, რომლის პირობებშიც, აბასთუმნის ობსერვატორია ასტრონომიული მეცნიერებების საერთაშორისოდ მიმზიდველი და აღიარებული ცენტრი გახდება, — ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ აბასთუმნის ობსერვატორიის მონახულების შემდეგ განაცხადა.



ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა, აბასთუმანში, ამბულატორია და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება გახსნა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულება თანამედროვე აპარატურით და კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტდა. ამბულატორია აღჭურვილია ტელემედიცინის აპარატით, რომელიც პაციენტებისთვის სამედიცინო სერვისებზე შეუფერხებელ და ფართო წვდომას უზრუნველყოფს.

ტელემედიცინის პორტატიული აპარატი პაციენტს შესაძლებლობას აძლევს, სოფლის ექიმის დახმარებით, ადგილზევე ჩაიტაროს კარდიოლოგიური, ოფთალმოლოგიური, ოტორინოლარინგოლოგიური ან დერმატოლოგიური კვლევა; კვლევის შედეგებსა და მონაცემებს „ონლაინ“ რეჟიმში ადევნებს თავს შესაბამისი პროფილის სპეციალისტი, რის შემდეგაც პაციენტი კონსულტაციასა და დანიშნულებას დისტანციურად იღებს.

ვენეციის კინოფესტივალის შიურის ჯულიანა მური უხელმძღვანელებს

ოსკარისა და არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ამერიკელი მსახიობი ჯულიანა მური ვენეციის 79-ე კინოფესტივალის საერთაშორისო ფიურის თავმჯდომარე იქნება. ინფორმაციას ვენეციის კინოფესტივალის პრესსამსახური ავრცელებს.

გადანწყვეტილება ვენეციის ბენალეს საბჭომ, ფესტივალის დირექტორის, ალბერტო ბარბერას წარდგინებით მიიღო.

„ჯულიანა მურმა კინოში უამრავი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. ის არის ამერიკის კინოკადემიის ჯილდოს, BAFTA-ს და „ემის“ მფლობელი და პირველი ამერიკელი ქალი, რომელსაც მიენიჭა საუკეთესო მსახიობი ქალის ჯილდოები ბერლინის, ვენეციისა და კანის კინოფესტივალებზე“, — ნათქვამია გავრცელებულ პრესრელიზში.



თბილისმა „ანგელოზ ინვესტორთა“ მე-3 სამართავრობის სამიტს უმასპინძლა

მართული კომპანიებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენის, ინვესტიციების მოზიდვისა და ევროპის ქვეყნებთან ბიზნეს-კავშირების გაღრმავების მიზნით, თბილისი უკვე მე-3-ჯერ და „ანგელოზ ინვესტორთა“ საერთაშორისო სამიტს მასპინძლობდა.

ლონისძიება 15-16 ივლისის გაიმართა და ორგანიზებულ იყო თბილისის მერიისა და ევროკავშირის ერთობლივი ბიზნეს აქსელერატორ „სპარკის“, საქართველოს „ანგელოზ ინვესტორთა“ ქსელ „აქსელის“ და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, „აჭარა ჯგუფის“, Grant Thornton Georgia-სა და Noxtton-ის მხარდაჭერით. სამიტის ფარგლებში, საქართველოს ეწვივნენ ევროპის „ანგელოზ ინვესტორთა ქსელის“ (EBAN) წარმომადგენლები და ინვესტორები საბერძნეთიდან, სლოვენიაიდან, საფრანგეთიდან და ესტონეთიდან.



ი. შორღანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტორების ინსტიტუტი აბრძობებს მუშაობას მისამართზე — თბილისი მღვდლის, 13 ა. VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 შავშავაძის გამზირი №17ა
 მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35
 პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;
 პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე“ —
 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანამდგომარეობა“ —
 „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იზაძეძა სტამბა
 „კოლორი“
 ი. პალდავაძის №3

კოლორი ჰაუზი
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 2 009882 616932
ავტორთა სახურადადგომ!
 რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაში დანიშნულია ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმლა, გუდაამ არ ემთხვეოდან რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხუტაზე პასუხს ავბავან ავტორები.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 20 ივლისს

ს
უსტორი ვალუტის ქარსი:
 აუუ ფოლარი - 2.8504; აპრო - 2.8658
 ბრიტანული პირანა სტარლინი - 3.3772;
 100 რუბლი - 4.8972; თურქული ლირა - 0.1636;
 აზერბაიჯანული მანათი - 1.6904;
 1000 სომხური დრამი - 6.8787.

აიონი 18 ივლისისთვის
 ავტოსაავტო საპარკოვლო:
 ბარ - ღამე +17, ღამე +38
 მთიანი რაიონები - ღამე +13, ღამე +33
 ავტოსაავტო საპარკოვლო:
 ბარ - ღამე +18, ღამე +30
 მთიანი რაიონები - ღამე +14, ღამე +31
 თბილისი: ღამე +21, ღამე +38

დაბიარქათ, მოგვარათ:
 ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
 და **sakresp@top.ge**
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge